საერთო გაზეთი

№24 (482) • 27 ივნისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მავნებელი

გიორგი კვირიკაშვილი მავნებელი კაცი იყო, რომელიც ქართველი ხალხის კი არა, ხაზარაძეებისა და გილაურების პრემიერ-მინისტრი და მათი ინტერესების გამტარებელი გახლდათ

„განათლებულთა“ შესახებ, ანუ „რა არის იგი სინათლე...“

ტრაგედია, რომელიც ამოუხსნელ რებუსად იქცა



ეს რა გვახუხე, ხუხა?

სადაც სამართალია, ნიკანორს მელია კია არა, ლომია, ან ვეფხვია უნდა ჰქონდეს გვარად...

ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ

მამუკა ბახტაძე: ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში ამ ეტაპზე 33 პირია შეყვანილი

პრემიერ-მინისტრ, მამუკა ბახტაძის განცხადებით, ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში ამ ეტაპზე 33 პირია შეყვანილი, რომლებმაც 1991 წლიდან დღემდე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მიმართ სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს.

მისი თქმით, წარდგენილი სია ამომწურავი არ არის, რადგან სამართალდამცავები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ გამოძიებას და ეს სია ბუნებრივია, შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

„როგორც პარლამენტში დამტკიცების დროს დაგპირდით, ჩვენ პირველივე მთავრობის სხდომაზე წარმოვადგენდით მნიშვნელოვან საკითხს, მთავრობის დადგენილების პროექტს, რომელიც ეხება ჩვენთვის ძალიან მტკივნეულ და პრინციპულ საკითხს, შეძლება ითქვას, ქვეყნისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის ღირსების საკითხს.

21 მარტს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც არის მომზადებული მთავრობის დადგენილების პროექტი და განსაზღვრულია ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია. ამ სიაში შეყვანილი არიან ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, რომლებიც მხილებული არიან ოკუპირებულ ტერიტორებზე საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ ისეთ უმძიმეს დანაშაულებებში, როგორებიცაა მკვლელობა, გატაცება, წამება და ამ დანაშაულთა დაფარვა. სიაში ჯერჯერობით შეყვანილია 33 კაცი, რომლებმაც 1991 წლიდან დღემდე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მიმართ სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. წარმოდგენილი სია ამომწურავი არ არის, რადგან სამართალდამცავი უწყებები უწყვეტ რეჟიმში აგრძელებენ გამოძიებას და ეს სია ბუნებრივია, შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს“, – განაცხადა ბახტაძემ.

მთავრობაში 10 სამინისტრო და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატი რჩება

მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის ახალ სტრუქტურა წარადგინა.

საპარლამენტო უმრავლესობასთან კონსულტაციების შედეგად საბოლოოდ შეთანხმდა, რომ მინისტრთა კაბინეტი 11 წევრით განისაზღვრება. იქნება 10 სამინისტრო და 1 სახელმწიფო მინისტრის აპარატი.

ბახტაძის თქმით, კერძოდ, ცვლილებები შეეხება შემდეგ უწყებებს:

კულტურისა და სპორტის სამინისტრო შეერწყმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო შეერწყმება იუსტიციის სამინისტროს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო უქმდება და მისი ფუნქციები გადანაწილდება სამ სხვადასხვა უწყებაზე: დევნილთათვის განსახლების ფუნქცია რეგიონული განვითარების სამინისტროს შეერწყმება, მიგრაციის კომპონენტს შინაგან საქმეთა სამინისტრო შეითავსებს, ხოლო სოციალური პოლიტიკა გადაეცემა ჯანდაცვის სამინისტროს.

გარდა ამისა, რელიგიის სააგენტო შეერწყმება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს.

ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი განვითარების კომპონენტი გადავა რეგიონული განვითარების სამინისტროში.

„დარწმუნებული ვარ, ამ ცვლილებებით ჩვენ დასაბამს მივცემთ მცირე მთავრობის კონცეფციის განხორციელებას, რადგან ასეთი მთავრობის ყოლა შედის დღეს ჩვენი ხალხის ინტერესებში.

რასაკვირველია, სტრუქტურული ოპტიმიზაციის კვალდაკვალ შემცირდება სამთავრობო ხარჯები და ის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ჩამოვა 3,9%-ზე“, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

სააგენტო „მედიანიუსი“

კორუფცია და კრიმინალი ფაროსანასთან ბრძოლის სახელით

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ავრცელებენ ცნობებს დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში) ადამიანების გარდაცვალების შესახებ, რომლის მიზეზადაც გარდაცვლილთა ოჯახის წევრები და ახლობლები ასახელებენ ფაროსანას წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დარიგებული (სავარაუდოდ, ბიფენტრინის შემცველი) პრეპარატების გამოყენებას. პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით. ეს გულისშემძვრელი ამბავი გვაიძულებს კვლავაც დავუბრუნდეთ საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ფაროსანასთან ბრძოლის კამპანიას, მე-2 კლასის ტოქსიკურობის პრეპარატების გამოყენებით, ვინაიდან ცოცხალ გარემოსადმი და მოსახლეობის ჯანმრთელობისადმი მიყენებულ ზარალთან ერთად საქმე ეხება უკვე კონკრეტული ადამიანების სიცოცხლეს. შეტყობინებებს ადამიანების პრეპარატ "ზონდერის" არასწორი გამოყენებით გამოწვეული დაღუპვის შესახებ ადრეც ვიღებდით მოსახლეობისგან, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფალთა მიერ შეცდომაში შეყვანილი თუ დაშინებული ადამიანები არ გვაწვდიდნენ დეტალურ ინფორმაციას მომხდარის შესახებ, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი სარწმუნო არგუმენტად გამოსაყენებლად. ამის მიუხედავად, ჩვენ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას და მოსახლეობას, რომ სამინისტროს და სააგენტოს მიერ შემუშავებული და საჯაროდ გამოქვეყნებული ინსტრუქციები სრულიად არასაკმარისია, ხოლო პრეპარატების შერჩევის და გამოყენების მათ მიერ დანერგილი პრაქტიკა პრინციპულად არასწორია, რამაც მაღალი ალბათობით შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის მოწამვლა და სიკვდილი.

ამჯერად წერილში არაფერს ვიტყვით ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებების შესაძენად ჩატარებულ ტენდერებზე და მათ კორიფციულ ბუნებაზე.

აუცილებლად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ახალი ფაქტები, რომლებიც, ჩვენი ღრმა რწმენით, ადასტურებს სამინისტროს და მისი სამსახურების ხელმძღვანელების არაკომპეტენტურობას, დანაშაულებრივ გულგრილობას და უპასუხისმგებლობას, რამაც უახლოეს პერიოდში შეიძლება კიდევ უფრო დიდ უბედურებამდე მიგვიყვანოს. დავიწყებთ იმით, რომ უკვე ყბადაღებული განცხადებები იმის თაობაზე, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო ზუსტად მიყვებოდა ცნობილი ამერიკელი სპეციალისტების გრეგ კრავჩუკის და ტრეისი ლესკის რეკომენდაციებს არ შეესაბამება სინამდვილეს.ა.წ. მარტში "USAID"-ის ეგიდით გამართულ სემინარზე გრეგ კრავჩუკმა საჯაროდ დაუდასტურა პროფესორ არჩილ ჭირაქაძეს მოხსენებაში მოყვანილი შემდეგი ანბანური ჭეშმარიტება, რომელიც სამწუხაროდ ვერასგზით ვერ გაითავისეს სამინისტროს და სააგენტოს მესვეურებმა: 1. არ არსებობს ერთი ან თუნდაც ორი ბიფენტრინის შემცველი პრეპარატი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის დასამუშავებლად და ყველა გარემოში (ანუ ველად, სათბურებში, სათბურებს გარეთ, საკარმიდამო ნაკვეთებში, ეზოებში, სახლებსა და სარდაფებში, პარკებსა და სპორტულ მოედნებზე და ა. შ.). აუცილებელია სხვადასხვა სახის პრეპარატების გამოყენება და მათი განსხვავებული დოზირება კონკრეტული სამიზნე ობიექტის და გამოყენების პირობების გათვალისწინებით. ბიფენტრინის შემცველი ნებისმიერი პრეპარატის გამოყენების ინსტრუქციის მოთხოვნების დარღვევა ან მისი არასწორი გამოყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში არის ფედერალური კანონის დარღვევა. 2. პრეპარატის გაფრქვევა უნდა ხდებოდეს მიზანმიმართულად ისე, რომ მისი უმეტესი ნაწილი მოხვდეს სამიზნე მცენარეებზე. და მხოლოდ მცირედი ნაწილი – ნიადაგზე.

პირად წერილში ბატონმა გრეგ კრავჩუკმა აგრეთვე დააფიქსირა, რომ არ იცნობს პრეპარატ "ზონდერს" (რომელიც გამოყენებული იყო საქართველოში 2017 წელს და ახლაც გამოიყენება მოსახლეობის მიერ, როგორც ჩანს – სავალალო შედეგებით). "ზონდერს" და პრეპარატ "ინსაკარს" (რომლის გამოყენება წელს სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში დაიწყო) ამ მიზეზით ის ვერ მისცემდა საქართველოში ამ პრეპარატების გამოყენების რეკომენდაციას. რაც შეეხება დელტამეტრინის შემცველ პრეპარატს, რომელსაც აგრეთე წელს იყენებენ პირველად საქართველოში, იგი არ არის რეგისტრირებული აშშ-ში და, ამდენად, ბატონ კრავჩუკს მასთან საქმე არასდროს ჰქონია. მნიშვნელოვანია ბატონ კრავჩუკის მიერ დადასტურებული ინფორმაციაც, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო კულტურების შესაწამლად საერთო წესით დაშვებულია ბიფენტრინის მხოლოდ სამი პრეპარატის გამოყენება, რომელთა შორისაც, რაღა თქმა უნდა, არ არის არც "ინსაკარი" და არც "ზონდერი.

ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს, ბელორუსიის და უკრაინის სამეცნიერო დაწესებულებებში მოპოვებული და ჩვენს ხელთ არსებული ექსპერიმენტული მონაცემები, რომ "ზონდერის" და "ინსაკარის" შემადგენლობაში არის სხვა ტოქსიკური ნივთიერებების (მაგალითად, 1,2,4-ტრიმეთილბენზინი) დიდი რაოდენობა (80%-მდე). ტრიმეთილბენზინს გააჩნია აშკარად გამოხატული ნეიროტოკსიკური მოქმედება და სუნთქვის სისტემაზე ზემოქმედების ეფექტი (მაგალითად, ასთმატური მოვლენების გამომწვევია). აქტიურად მიმდინარეობს ამ და ზემოხსენებული პრეპარატების შემადგენლობაში არსებული სხვა ნივთიერებების მიერ გამოწვეული ზემოქმედების კვლევა ჰემატოლოგიურ, რეპროდუქტიულ, ენდოკრინულ, ციტოლოგიურ და კანცეროგენულ ჭრილში. **უახლოეს პერიოდში ჩვენ გავასაჯაროებთ ამ კვლევის შედეგებს და მათ საფუძველზე საქართველოს მთავრობისგან მოვითხოვთ განიხილოს საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი მიმდინარე წარუმატებელი კამპანიის შედეგების გამო.**

პაატა კოლუაშვილი,
პროფესორი
არჩილ ჭირაქაძე,
პროფესორი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„განათლებულთა“ შესახებ, ანუ „რა არის იგი სინათლე...“

ზოგიერთს მართლაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული დამსახურება ერის წინაშე, მაგრამ როცა მთელი ერის ნაცვლად, მთელი ერის მაგიერ ერთი კაცი აკეთებს მთელი ერის გასაკეთებელს და საკუთარი ჯიბიდან სოლიდურ სტიპენდიას გიხდის ყოველთვიურად, თანაც ისე, რომ მას ამის არანაირი ვალდებულება არ აქვს, ასეთ კაცს რატომ უნდა მოექცე უდიერად და უმადურად?

ერთმა კინორეჟისორმა ცოფები ჰყარა ამასწინათ — კაცი, რომელიც მე მარჩენს და სიბერის ხვედრს მიმსუბუქებს, გაუნათლებელი კაციაო.

როცა სხვას ეძახი გაუნათლებელს, ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარ თავს ძალიან განათლებულად თვლი, თუმცა ნამდვილად განათლებული ადამიანი არ იკადრებს, რომ სხვას გაუნათლებელი დაუძახოს.

განათლებული ადამიანი რომ იყო, ამისთვის სულაც არ არის საკმარისი, ბევრი წიგნი გქონდეს წაკითხული, ბევრი ფილმი, ბევრი გამოფენა გქონდეს ნანახი, ფლობდე ბევრ ინფორმაციას, კარგად ერკვეოდე სხვადასხვა საკითხებში დ ა. შ.

სიტყვა განათლება სიტყვა სინათლიდან მოდის, სინათლეა მისი ფუძე და საწყისი.

განათლებული ადამიანი ის არის, ვინც შიგნიდან არის გახხივოსნებული და განათებული არა მარტო ცოდნით და ინტელექტით, არამედ სიკეთით, თავმდაბლობით, უბრალოებით, მოყვასისადმი სიყვარულითა და თანადგომით.

ამ ნიშნით და ამ საზომით სწორედ ის ადამიანი არის განათლებული, ვისაც გაუნათლებელი დაუძახა თავად როყიო და უკმეხმა კაცმა.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს, რომელსაც შემოქმედებითი ინტელიგენცია ჰქვია და რომელიც განათლებულად მიიჩნევს საკუთარ თავს, ერთ ცუდ, აშკარად პლებეურ-პროვინციალურ თვისებას ვამჩნევ.

ეს ადამიანები, რომლებსაც ზედმეტად აღმატებული წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე და საკუთარ ღვაწლზე, ზოგჯერ ზემოდან დაჰყურებენ დანარჩენებს და თვლიან, რომ მათ იმხელა დამსახურება აქვთ ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რომ ყველანაირ პრივილეგიას იმსახურებენ, მათ შორის, იმსახურებენ იმასაც, რომ ვინმე კეთილშობილმა და ქველმოქმედმა ადამიანმა თვეში ზოგს 3000 ლარი უხადოს სტიპენდიის სახით, ზოგს 4000, ზოგს — 5000,

თუმცა ამის გამო ისინი მადლიერებიც არ არიან, რადგან თვლიან, რომ მათ ეკუთვნით, ეს მათ დაიმსახურეს ერის წინაშე.

ზოგიერთს მართლაც შეიძლება ჰქონდეს გარკვეული დამსახურება ერის წინაშე, მაგრამ როცა მთელი ერის ნაცვლად, მთელი ერის მაგიერ ერთი კაცი აკეთებს მთელი ერის გასაკეთებელს და საკუთარი ჯიბიდან სოლიდურ სტიპენდიას გიხდის ყოველთვიურად, თანაც ისე, რომ მას ამის არანაირი ვალდებულება არ აქვს, ასეთ კაცს რატომ უნდა მოექცე უდიერად და უმადურად?

მხოლოდ ეს ერთი უმადური ადამიანი რომ იყოს გამონაკლისი, ეს ამბავი, ალბათ, სალაპარაკოდაც არ ღირდა, მაგრამ ასეთები სხვაც ბევრი რომ არის, ამას რა ვუყოთ და ამას რა დავარქვათ?

უმადურობა მთავარ ნაციონალურ მახასიათებლად ხომ არ გვექცა შემთხვევით?

ეს ეგრეთწოდებული ელიტა, რომელმაც ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოასწრო გარყვნა და მორალური დეგრადირება, დღემდე ძველი ინერციით აგრძელებს ცხოვრებას და პრივილეგიებს ითხოვს.

დამსახურებაზე ვსაუბრობდით ზემოთ. სხვა დამსახურებათა შორის ერთი დიდი „დამსახურებაც“ არ უნდა დავუვიწყოთ ამ პატივცემულ ელიტას.

სწორედ ეს ელიტა აღმოჩნდა მთავარი იდეოლოგიური მაპროვოცირებელი იმ უბედურებისა, რომელიც სამოქალაქო დაპირისპირების სახით თავს დაატყდა ქვეყანას გასული საუკუნის 90-იან წლებში.

მათ ლომის წილი აქვთ შეტანილი დამოუკიდებლობის გზაზე ახლადფეხადგმული საქართველოს დამარცხებასა და გაპარტახებაში.

აი, ამ „დამსახურების“ გამო ითხოვთ თქვენ, პატივცემულებო, პრივილეგიებს, კომფორტს, სტიპენდიებს, ჯილდოებს?

„უწიგნური“ და „გაუნათლებელი“ რომ აგიკვიატებიათ, იქნებ ზვიად გამსახურდიაც უწიგნური და გაუნათლებელი იყო, რუსების მიერ ნაჩუქარი ტანკებით და ბეტეერებით რომ მიადექით დასამხობად და მასთან ერთად დამოუკიდებელი საქართველოც რომ დაარბიეთ და დაიპყარით?

ვინმეს წიგნიერება თუ უწიგნურობა კი არ გაინტერესებთ თქვენ, თქვენი პირადი კეთილდღეობა გაწუხებთ მხოლოდ და ამ კეთილდღეობას თუ რაიმე საფრთხე დაემუქრება, მზად ხართ მთელი ქვეყანა დალეწოთ და გააცამტვეროთ, ოღონდ მუდმივად ზედაპირზე იტივტივოთ.

90-იან წლებში ზუსტად ეს საფრთხე იგრძნეს ამ ე.წ. ელიტარებმა — შეიძლება დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ფასეულობათა გადაფასება მომხდარიყო და საბჭოთა იმპერიის ერთგული მსახურებისთვის ბოძებულ მათ ყალბ დიდებას წყალი შედგომოდა.

სწორედ ამიტომ აისხეს იარაღი, მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღების, ნარკომანების გვერდით დადგნენ და მათთვის საბედისწერო ეს საფრთხე აღკვეთეს.

თუ საჭიროება დადგა, ისინი ახლაც ასე მოიქცევიან და ზუსტად ისე დაუპირისპირდებიან ნებისმიერ პიროვნებას, ნებისმიერ ხელისუფლებას, ვინც მათ კეთილდღეობას საფრთხელ შეუქმნის.

ამ ელიტამ ღალატს გაუგო გემო და ახალი პატრონის გულის მოსაგებად ისე ადვილად და თვალის დაუხამხამებლად გაყიდის თავის ძველ კეთილისმყოფელს, ნერვი არ შეუტოკდება.

სიკეთის ღირსეულად მიღება და დაფასებაც ისეთივე ღვთიური მადლია, როგორიც სიკეთის გაღება.

თუ ამ ჭეშმარიტებას ადამიანები ვერ მიხვდებიან და ვერ გააცნობიერებენ, მაშინ სიკეთის ქმნაც ისეთივე უაზრობა ხდება, როგორც ღორებისთვის მარგალიტების დაყრა.

ვახტანგ ხარჩილავა

ბისთვის“ შექმნილი, გამოგონილი თემებია და სხვა არაფერი. ამასწინათ, თეა წულუკიანმა ბრძანა, არასამთავრობოები ჩემი თანამდებობიდან წასვლას იმიტომ ითხოვენ, რომ არ ვაპირებ, კაცად დაბადებულს პირადობის მოწმობაში ქალი ჩავუწეროო. ალბათ, ქალბატონ მინისტრს ამაზე ადრე უნდა ეფიქრა, როცა პარლამენტმა ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღო. თავად დაადგინეს, რომ ადამიანს არჩევანის თავისუფლება არ უნდა შეეზღუდოს, თავად მისცეს უფლება, რომ გადაწყვიტოს ქალად ყოფნა სურს

შედეგებს ვიმკით. დღეს ქაიროს ქუჩაზე, თითქმის ავარიულ შენობაში შესახლებული 16 ოჯახი ვინახულე. ამ ადამიანებს ღამე არ ძინავთ იმაზე შიშით, რომ ჭერი თავზე დაემხობათ და სახელმწიფო აქედანაც მიერეკება. ღია ცის ქვეშ რჩება 80 ბავშვი და ყველაფერი იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა საცხოვრებელი სწორედ იმ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა თუ ბანკების დამსახურებით დაკარგეს, მოსახლეობას რომ სულს ხდის. სახელმწიფომ, რომელიც თავისი მოქალაქეების ბედს უცხოელების გახსნილ

ების ხმა არ ემის. მაინცდამაინც „იუნისეფს“ უნდა ეთქვა? რატომ უნდა გესმოდეს ამერიკელის, ფრანგის, ინგლისელის, ჩინელის ხმა და ქართველის არა? წლების განმავლობაში, მთავრობას წერილებს ვწერდი და ინტერვიუებში ვამბობდი, რომ ხალხი შიმშილობს და ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება, მაგრამ მეუბნებოდნენ, რომ ვაჭარბებ, რომ სტატისტიკა სხვაა და ა.შ. ქვეყანა ვითარდებაო, გვეუბნებოდნენ და დასკვნაში წერია, რომ ბავშვები შიმშილით გვეხოცება. ტელევიზორში სომალელ ბავშვებს რომ აჩვენებენ, უკვე იქამდე მივე-

მოდ წავიდეს საქართველოდან და უცხო ქვეყნის მოქალაქე გახდეს. ეს სურათი იუნისეფის ნებისმიერ ანგარიშზე უკეთ ასახავს ქვეყნის რეალობას და გაუგებარია, ასეთ ვითარებაში რომელ წარმატებულ რეფორმებზეა საუბარი? სამწუხაროდ, კვირიკაშვილის და ქუმსიშვილის წასვლით არაფერი შეიცვლება, რადგან სისტემა ისეა შექმნილი, რომ ყველაფერი ერთ წრეში, სახელმწიფოს სათავეში მყოფი ჩინოვნიკების გარშემო ტრიალებს. ეს ხალხი ხელისუფლების ყველა შტოშია განაწილებული და პარალელუ-

მავნებელი

გიორგი კვირიკაშვილი მავნებელი კაცი იყო, რომელიც ქართველი ხალხის კი არა, ხაზარაძეებისა და გილაურების პრემიერ-მინისტრი და მათი ინტერესების გამტარებელი გახლდათ

„საერთო გაზეთს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სახალხო ტრიბუნების“ პრეზიდენტი მამისა ჯაფარაშვილი ესაუბრა:

— ყველა ფაქტსა თუ მოვლენას თავისი ლოგიკური მიზეზი აქვს და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობაც ასეა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ქვეყნის სწრაფი უკუსვლა, რომელმაც დღემდე მოგვიყვანა, სამხედრო გადატრიალებით დაიწყო. რა თქმა უნდა, ხალხის არჩეული, ეროვნული ხელისუფლების დამხობა

საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიგეგმა და ბუშის სიტყვები, რომ ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს, ამის დასტურია. საქართველოს პრეზიდენტმა მშვენივრად იცოდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში დიდი სახელმწიფოების მიერ პატარა სახელმწიფოების დაპყრობა თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. ამიტომ ეს პრეზიდენტი არასოდეს შეიყვანდა საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდში, რომელმაც უამრავი უბედურება მოგვიტანა. სწორედ ეს გახდა გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის მთავარი მიზეზი.

— **სავარაუდოდ, ეროვნული ხელისუფლება არც ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას დათანხმდებოდა და არც ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისებას დაუშვებდა..**

— ლგბტ თემის პრობლემები ფინანსური მაქინაციების გადაფარვისა და ფულის „გათეთრე-

თუ კაცად და ახლა ამის აღიარება არ სურთ. სწორედ იმიტომ მივდივართ უკან-უკან, რომ ხელისუფლებებს საკუთარი მოქმედების შედეგის გათვლა არ შეუძლიათ. სულმნათი გამსახურდია მოსალოდნელ შედეგებს ხედავდა და იმიტომ ამბობდა უარს საერთაშორისო სავალუტო ფონდზე და ყველაფერზე, რამაც დღევანდელ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. არასოდეს ვყოფილვარ ზვიადისტი და ზოგადად, „ისტობა“ ყველაზე მეტად მძულს, მაგრამ დარწუნებული ვარ, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობა ქართველი ერის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული იყო და დღემდე ამის

ბანკებსა და მევახშეებს ჩაუგდებს ხელში, ეკონომიკურ აღმავლობაზე არ უნდა იოცნებოს.

— **„იუნისეფის“ სკანდალურ ანგარიშში, რომელსაც სამთავრობო ცვლილებების ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ, წერია, რომ საქართველოში სიღარიბის ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შენელებული ტემპებით და გაზრდილი სამომხმარებლო ფასებით, რაშიც ყოფილ პრემიერს, კვირიკაშვილს ადანაშაულებენ.**

— იმ ხალხისგან განსხვავებით, რომელმაც პრემიერის გადადგომის შემდეგ დაიწყო მისი კრიტიკა, ყოველთვის ვამბობდი, რომ გიორგი კვირიკაშვილი მავნებელი კაცი იყო, რომელიც ქართველი ხალხის კი არა, ხაზარაძეებისა და გილაურების პრემიერ მინისტრი და მათი ინტერესების გამტარებელი გახლდათ. მისი წარმატებული პროექტები და ეკონომიკური ზრდა მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, რეალურად, კი ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება. მე ყოველდღიურად დავდივარ რეგიონებში და ვხედავ გაღატაკებულ ხალხს და მშიერ ადამიანებს, პურის ფული რომ ენატრებათ. ჩვენი ხელისუფლებების უბედურება ისაა, რომ სანამ დასავლეთი თითს არ დაუქნევს, თავისი მოქალაქე-

დით, რადგან სოფლებში ვხედავ რაქიტით დაავადებულ, მუცელგაბერილ ბავშვებს, რომლებიც კალცს და ცილას ვერ იღებენ და ხორცის გემო არ იციან. აი, ასეთ სახელმწიფოში რამდენიმე მილიონერი და ორი მილიარდერი პარლამენტარი გვყავს. წარმატებული ქვეყნიდან არ გარბიან! მივიდნენ ნებისმიერ საელჩოსთან და ნახონ როგორ გარბის ხალხი. ამბობენ, რომ შარშან ამერიკული მწვანე ბარათის გათამაშებაში ჩვენმა მილიონმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონი ადამიანს სურს სამუდა-

რად, ბიზნესებიც აქვთ. პროგრამები რომ გახსნეს, „აწარმოე საქართველოში“, „განავითარე საქართველო“ და უამრავი სხვა, უბრალო მოქალაქეს მაინც არაფერში არგია, რადგან სასტარტო 30%-იანი დაფინანსებაც არ აქვს. ამ პროგრამებიდან ფულს ისევ ბიზნესმენი ჩინოვნიკები იღებენ, ამიტომ საჯარო მოხელეს და პოლიტიკოსს კატეგორიულად უნდა ჰქონდეს აკრძალული ბიზნესთან ურთიერთობა. არ შეიძლება ადამიანი ერთდროულად, სოვდაგარი და მევახშე იყოს და თან სამინისტროს მართავდეს, იმიტომ რომ ხალხის ინტერესებზე მაღლა თავისი ბიზნესის ინტერესებს დააყენებს. ამიტომ დაგვემხო სახელმწიფო თავზე და მივიღეთ ის, რომ გაღატაკებულ ქვეყანაში 50 მილიონერი და რამდენიმე მილიარდერი გვყავს. მე რომ მკითხოთ, „იუნისეფის“ დასკვნის შემდეგ მთელი მთავრობა და პარლამენტი უნდა წავიდეს. ხალხი წლების მანძილზე პოლიტიკაში იყო, სისტემის შექმნაში მონაწილეობდა და ხმას არაფერზე იღებდა. ვიღაცას იმის შეეშინდა, რომ ოჯახის წევრს დაუჭერდნენ, ვიღაცას იმის, რომ ბიზნესს დაკარგავდა, ამიტომ ეს ხალხი პოლიტიკიდან უნდა წავიდეს. ერის წინააღმდეგ პირდაპირი

ომია გამოცხადებული და ამ ომში მხოლოდ უშიშარი ხალხი უნდა შევიდეს.

— საქართველოს პრემიერ მინისტრის პოსტზე გიორგი კვირიკაშვილი მამუკა ბახტაძემ შეცვალა, რომელმაც საბანკო სისტემის კრიტიკით დაგვამახსოვრა თავი. რას ელით ამ საკადრო ცვლილების შემდეგ?

— რაც შეეხება ბახტაძეს, დიდი იმედი არ მაქვს, რომ რამეს შეცვლის. ეს ადამიანი დღეს არ მოსულა ხელისუფლებაში. რკინიგზაში და ბეჟუაშვილების კომპანიაში იმუშავა, ფინანსთა მინისტრი იყო და ა.შ. თანაც, საბანკო-სამევახშეო სისტემის მოწესრიგება ფინანსთა სამინისტროს კი არა, ეროვნული ბანკის პრეროგატივაა. იმ ეროვნული ბანკის, სადაც „საქართველოს ბანკის“ ყოფილი გენერალური დირექტორი მურთაზ კიკორია ზის. რასაც „საქართველოს ბანკი“ ამ ქვეყანას უშვება, მტერს არ გაუკეთებია და კიკორიას იმედი უნდა მქონდეს?

—ინტერვიუს დაწყებამდე ბრძანეთ, რომ „საქართველოს ბანკი“ ქართულ საბანკო სექტორში ყველაზე ხისტი და დაუნდობელი პოლიტიკით გამოირჩევა. რაში გამოიხატება ეს სიხისტე და რა არის ამის მიზეზი?

— დავიწყებ იმით, რომ „საქართველოს ბანკს უკვე მიტაცებული აქვს საქართველოს 30%-ზე მეტი. ამ 30%-ში შედის მიწები, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ. ეს არის სახელმწიფო სახელმწიფოში, რომლის ხელში ნელ-ნელა გადადის ქვეყნის უძრავი ქონება. ხელისუფლება რომ ამბობს, უცხოელებზე მიწის გაყიდვა შეჩერებულიაო, ნუთუ არ იცის, რომ ყველა ბანკი უცხოელების ხელშია და ხალხს მიწას და სახლს აუქციონის წესით ართმევენ? ამიტომ გახლავთ მტკნარი ტყუილია, რომ საქართველოში მიწა უცხოელზე არ სხვისდება. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დღევანდელი მონაცემებით, „საქართველოს ბანკი“ და ჩინურ-ამერიკული „ბაზისბანკი“ ყველაზე ხისტ პოლიტიკას ატარებენ და არავითარ კომპრომისზე არ მიდიან. აღსრულების ეროვნულ ბიუროში ყველაზე მეტი გამოსახლებების მოთხოვნა სწორედ ამ ორი ბანკიდანაა. ანგელოზები არც „თიბისი ბანკში“ არიან, მაგრამ ეს ბანკი მეტ-ნაკლებად დათმობებზე მიდის.

ზოგადად, ბანკების თავაშვებულობა თავიდან ბოლომდე სახელმწიფოს ნამუსზეა, რომელსაც თავისი მოქალაქეების ბედი არ აინტერესებს. წარმოიდგინეთ, ქსოვრელის ქუჩაზე შესახლებულ ოჯახებს 8 წელია, შუქი არა აქვთ. უამრავი წერილი დავწერე, მაგრამ „რწყილი და ჭიანჭველა“ გამომივიდა. მერიამ ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაუგზავნა, მუნიციპალიტეტმა ეკონომიკის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტრომ განათლების სამინისტროს და ყველა ამბობს, ჩემი კომპეტენცია არ არისო. თუ შენი კომპეტენცია არ არის, რომ 21-ე საუკუნეში, 64 ბავშვი ლამპის შუქზე იზრდება, მაშინ ხელფასს და პრემიებს რაში იღებ? ამ სახელმწიფოში არსებობს ვინმე, ვინც მარტო ფულს კი არა, პასუხისმგებლობასასაც აიღებს? არაფერი გვეშველება, სანამ ჩინოვნიკების ხელფასი რამდენჯერმე არ შემცირდება. აი, მაშინ მოვლენ თანამდებობაზე სამშობლოს მოყვარული ადამიანები და არა ფულის მაძიებლები. სექტემბრისთვის მზად გვექნება კანონპროექტი, რომელიც პოლიტიკური პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტას ითვალისწინებს. ამ კანონის მიღების მერე ხალხი იმისთვის აღარ წავა პოლიტიკაში, რომ ბიუჯეტს პარაზიტივით დააჯდეს და აღარც 255 პოლიტიკური პარტია გვეყოლება.

— როგორ ფიქრობთ, ამ ინიციატივას ბევრი მხარდამჭერი ეყოლება?

— მხარდამჭერი არ ვიცი, მაგრამ მტერს ბევრს გავიჩენთ. მტრების არ გვეშინია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩვენი ინიციატივა კანონად იქცეს. ამისთვის პოლიტიკური პარტიის შექმნა რომ დამჭირდეს, შევქმნი და ამ პარაზიტებს დავანახებ, რომ პარტია მისმა საქმიანობამ და საწევრო გადასახადებმა უნდა შეინახოს და არა ბიუჯეტმა. რას აკეთებენ, რომ ამხელა დაფინანსებები აქვთ? რა არის მათი მოღვაწეობის შედეგი — დარბეული ეკონომიკა, გაყიდული ტერიტორიები და ქვეყანა, სადაც ხელფასი ვალების გასტუმრებისთვის არ ჰყოფნით? ეს ისედაც

გვაქვს და ჯობს ის ფული სხვა, კეთილი საქმეებისკენ მივმართოთ. დღეს ჩემთან იყო მოსული მწერალი, პოეტი და არაჩვეულებრივი ადამიანი.. ამ კაცის უზარმაზარმა პატიოსნებამ გამაოცა. გულის ოპერაცია გაუკეთებია და ამისთვის სახლის იპოთკით დატვირთვა მოუხდა. ვალის გადახდა რომ გაუჭირდა, მეორე, ონლაინ სესხი აიღო, ისიც რომ ვერ გადაიხადა, მესამე აიღო და დღეს ეს ადამიანი იმისთვის მუშაობს, რომ თვეში 1200 დოლარი მარტო პროცენტებში გადაიხადოს. შინაგანი პატიოსნება საშუალებას არ აძლევს, რომ თანხის გადახდაზე უარი თქვას ან დააგვიანოს და უკვე ფსიქიკა შეერყა. როგორია, ყოველთვიურად ამ-ხელა ფულს იხდი და ძირი თანხა იგივე რჩება.. ეს მახინჯი სისტემა ვინ შექმნა? ეს მევახშეობაში ჩაფლული ქვეყანაა სახელმწიფო? რა კარგია, სამინისტროები გააუქმეს და წავიდა ეს ხალხი სახლებში და სხვა სამსახურებში. რაც გააფუჭეს, შერჩათ და პასუხიც არავინ აგო. აი, ამიტომაა ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომი, რომ ამდენი გაუბედურებული ადამიანების ბედზე პასუხს არავინ აგებს. „იუნისეფი“ რომ გეტყვის, რომ ქვეყანაში უარესი მდგომარეობაა, იმით იმართლებ თავს, რომ ცოცხებით არ აწამებ? ხალხი უკეთესი ცხოვრების მოლოდინში დანევროზდა და აღარავის ენდობა. მოსახლეობის 70% რომ აღარაფრის იმედი აქვს და არჩევნებზე მისვლაც არ სურს, ისიც ამ პოლიტიკური პარტიების და ხელისუფლების დამსახურებაა. მე თბილისის მერთანაც პრეტენზია მაქვს.. რას ქვია ღამის თბილისი? ღამე ჩვენთან ბორდელებად ქცეული სასტუმროების გარდა რა მუშაობს? ამას ვავითარებთ? სხვა ყველაფერი საათივით აწყობილი გვაქვს?

ახლა კი გეტყვით, რომ 6 ივლისს, 18 საათზე სპორტის სასახლეში რუის-ურბნისის მიტროპოლიტის მეუფე იობის ლოცვა-კურთხევით და მამა გიორგი ოდიშელიშვილის თაოსნობით ტარდება ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა. ყრილობის მოთხოვნა ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გახლავთ. ქვეყანა რომ უმძიმეს მდგომარეობაშია, ყველა ვხვდებით, ამიტომ ქართველების სახალხო ყრილობაზე, რომელიც ერსა და ბერს გააერთიანებს, სწორედ ამაზე იმსჯელებენ და ქვეყნის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზას დაგვანახებენ. ყველას, ვისაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა აწუხებს და ქვეყნის მომავალზე ფიქრობს, ქართველი ხალხის ეროვნულ ყრილობაზე ვეპატიჟებით. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ნელი თორდია
571 35 36 88

ტრაგედია, რომელიც ამოუხსნელ რებუსად იქცა

საზოგადოებას, ალბათ დიდხანს არ დაავიწყდება სასტიკად მოკლული დავით სარალიძის მამის ზაზა სარალიძის შემზარავი ბღავილი „გაათავისუფლეს, ამათი...“. ეს ხდებოდა პირდაპირ ეთერში, სასამართლოს შენობის ფოიეში. სწორედ ამ წამიდან დაიწყო არეულობა — შვილმკვდარმა მამამ ხალხს გვერდით დგომისაკენ მოუწოდა და პროკურატურისაკენ დაიძრა. ათასობით ადამიანი გამოვიდა ქუჩაში, ათასობით ადამიანმა მოითხოვა სამართალი! პროკურატურასთან თავშეყრილი საზოგადოება, შვილმკვდარი მამის მოწოდების შემდეგ, რუსთაველისკენ დაიძრა და პარლამენტთან მოიყარა თავი. სწორედ აქ გახდა ცნობილი, რომ თურმე დამნაშავეები არავის გაუთავისუფლებია. სწორედ ამ დროს გაჩნდა პირველი ბზარი საზოგადოებასა და შვილმკვდარ ოჯახს შორის. ოჯახის უდიდესი ტრაგედიის გამზიარებელი ადამიანები დაიბნენ — თუ დაკავებულები

არავის გაუთავისუფლებია, მაშ რას აპროტესტებს ოჯახი? შვილმკვდარი მამა, რომელიც ჯერ კიდევ სასამართლოს შენობაში აგინებდა მოსამართლე არეშიძეს და ყვიროდა რომ მან გაათავისუფლა დაკავებულები, რუსთაველზე უკვე აცხადებდა, რომ მოსამართლე არეშიძე მოიქცა სამართლიანად და რომ ამ განაჩენით დადასტურდა ის, რასაც თავად გამოძიების გარკვეული ეტაპის შემდეგ, ყოველთვის აცხადებდა. აქცია, რომელიც დაიწყო მკვლელების გათავისუფლების მოტივით გადაიზარდა არასწორად ნაწარმოები გამოძიების და მკვლელებისათვის ხელის დაფარების ჭრილში. აქციის მონაწილეები პირველ დღეს მკვლელების დადგენას და გამოძიებას ითხოვდნენ. მეორე დღეს დავით სარალიძემ მთავარ პროკურორთან შეხვედრის სურვილი გამოხატა, მთავარი პროკურორი დათანხმდა, თუმცა ეს შეხვედრა არ შედგა. საქმე ისაა, რომ სარალიძემ კატეგორიულად განაცხადა, მთავარ პროკურორს მხოლოდ ადვოკატთან ერთად კი არა, რასაც კანონი ითვალისწინებს, არამედ მის მეგობართან და „ამ საქმის გამომძიებელ“ ზვიად კუპრავასთან ერთად შეხვდებოდა. კუპრავას ხორავას ქუჩის ტრაგედიასთან სამართლებრივად არაფერი აკავშირებდა, მას სარალიძემ „მიანიჭა“ გამომძიებლის სტატუსი, ასეთ ცნებას კი კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ შოთაძემ ასეთ შემადგენლობასთან, კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, შეხვედრაზე უარი განაცხადა. პარალელურად აქციაზე გაჩნდა მოთხოვნა — გადადგეს შოთაძე. ასეთ ფონზე, „ვიღაცამ“ „მაღლა“ მოიფიქრა რომ საქმეში უნდა ჩართულიყო პრემიერ-მინისტრი. კვირიკაშვილი ტელევიზიით გამოდის და აცხადებს რომ თურმე საქმე ხელახალი გამოძიებისათვის შსს-ს დაუბრუნდა წარმოებაში. იურისტები ამ განცხადებამ შოკში ჩაადგო, დაისვა კითხვა — როდის და ვინ შეიტანა ცვლილება კანონში? საბოლოოდ გაირკვა რომ კვირიკაშვილმა, რომელიც იურისტი არაა, საზოგადოებას ტყუილი ინფორმაცია მიაწოდა და ის შეცდომაში სავარაუდოდ პრემიერის იურიდიულმა სამსახურმა შეიყვანა, მაგრამ ეს აქციის მონაწილეებს და მითუმეტეს ორგანიზატორებს, აღარ აინტერესებდათ. ამ დროს დადგა კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნა, ინიციატივით ზაზა სარალიძე გამოვიდა. კვირიკაშვილმა გადაწყვიტა აქციაზე მისულიყო, მივიდა, სარალიძე მას თბილად შეხვდა (გადაეხვია), მაგრამ მიკროფონთან მისულ კვირიკაშვილს კუპრავას და მისი დამქაშების მითითებით აქციის რამდენიმე მონაწილემ, ბოთლები დაუშინეს.

მივყვეთ მოვლენებს, აქციის მიმდინარეობის მესამე დღეს, პროცესებში ეგრედწოდებული პოლიტიკური სახეები ჩაერთვნენ. აქციაზე გამოჩნდნენ სააკაშვილის დედა, ცოლი და ძმა. როლანდ ახალაია, ბაჩანა და დათა ახალაიების მამა, სამეგრელოს ყოფილი პროკურორი. აქციაზე მივიდნენ ირაკლი კოდუას დედა და ძმა, ნიკა რურუა და ასე შემდეგ. მოკლედ, მთელი ნაციონალური „ელიტა“ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნით გამართულ აქციაზე მივიდა და რაც მთავარია, უსირცხვილოდ აკეთებდნენ კომენტარებს სამართლიანობისა და სამართლის შესახებ. ამ დროს აქციაზე მისული საზოგადოება მეორედ გაიყო ორად. სააკაშვილის რეჟიმის დროს დახოცილი ახალგაზრდების მშობლებმა და ახლობლებმა ვაკის პარკში გამართეს სარალიძის მხარდამჭერი აქცია და განაცხადეს, რომ ისინი სამართლიანობის აღდგენას მხარს უჭერენ, მაგრამ რუსთაველზე ვერ მივლენ და მათი შვილების მკვლელების გვერდით ვერ დადგებიან. სარალიძე მივიდა ამ აქციაზე, ისევე როგორც კვირიკაშვილს, აქაც გადაეხვია რამდენიმე ადამიანს და ფეხდაფეხ მოყოლილ სახალხო დამცველს გაჰყვა, რუსთაველზე მისულმა კი განაცხადა რომ მას შეურაცხყოფა მიაყენეს. საქმე ისაა, რომ როცა სარალიძე სახალხო დამცველისკენ გაიწია და წასვლა დააპირა, შვილმკვდარი მშობლები წინ გადაუდგნენ და სთხოვეს, არ წასულიყო რუსთაველზე, დარჩენილიყო მათთან და ისინი დაუდგებოდნენ ბოლომდე გვერდით. სარალიძემ მათ ყურადღება არ მიაქცია და ამ დროს ზურგზე სარალიძეს უბიძგა ლაშა ამირეჯიბმა, არ გინდა და ნუ გინდა, წადიო... ამირეჯიბი დააკავეს. საზოგადოებაში უკვე გაჩნდა კითხვა: იმ დროს, როცა პრემიერ-მინისტრს ესროლეს შუშის ბოთლი, რითაც ფაქტიურად კვირიკაშვილის და იმ აქციაზე მიმდებარედ მყოფი ადამიანების სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა, პოლიციამ „ხელი არ გაატოკა“, რატომ მოსთხოვეს პასუხი ამირეჯიბს?

ასეთ ვითარებაში ირკვევა საქმის ისეთი დეტალები, რაც იურისტებმა მშვენივრად იციან და წესით სარალიძეს და „გამომძიებელ“ კუპრავასაც უნდა სცოდნოდათ: კანონით, არასრულწლოვანთა საქმეს იძიებს სპეციალური გამომძიებელი, საქმეს იხილავს სპეციალური მოსამართლე და საქმეში ჩართული ადვოკატებიც, სპეციალური ადვოკატები არიან. არასრულწლოვანის საქმის გამოძიება კანონით მოკლევადიანია. როდესაც გამოიკვეთა რამდენიმე პირის დანაშაული, იმისათვის რომ არასრულწლოვნები უკანონო პატიმრობაში არ ჰყოლოდათ, გამოძიებამ საქმე განსახილველად გადააგზავნა სასამართლოში, ხოლო ამ საქმიდან ცალკე წარმოებად გამოყო საქმე, რომელიც აგრძელებს ფაქტზე დეტალურ გამოძიებას. ანუ, ყველაფერი მიდის კანონის დაცვით და კანონიერად. სხვა საკითხია, რომ ბრალდებულებმა, რომლებიც მთელი გამოძიების პროცესში დუმდნენ, სასამართლოზე რომ ამოიღეს ხმა, ისიც სხვა საკითხია მოწმე რომ „ამოყირავდა“ და ჩვენება რამდენჯერმე შეცვალა. ფაქტია, გამოძიებამ რამდენიმე არასრულწლოვანი პირის მიმართ დაასრულა გამოძიება, სხვა პირთა მიმართ ცალკე წარმოებად გამოყო საქმე და ძირითადი საქმე სასამართლოს გადასცა. აი, ეს პროცედურა, როგორც ჩანს არ აუხსნეს კვირიკაშვილს, როცა მან განაცხადა რომ განაჩენდამდგარი საქმე შსს-ს დაუბრუნდა გამოსაძიებლად. სხვათაშორის, კვირიკაშვილის ამ განცხადებას მოჰყვა გახარიას გადადგომის მოთხოვნა და ამის შემდეგ გაირკვა რომ თურმე მთავარი დამნაშავე საქმის არასწორად გამოძიებისა გამო პროკურატურა კი არა შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოფილა. ამასობაში შეიქმნა დროებითი საგამოძიებო კომისია პარლამენტში, რამაც კრახისკენ მიმავალ ქუჩის აქციებს სულზე მოუსწრო.

დღეს ერთადერთი რაზედაც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება არის მოტივი, რის გამოც ეს ტრაგედია დატრიალდა, კომისიის სხდომაზე დადუნაშვილის ადვოკატმა განაცხადა: ეს კონფლიქტი წამოვიდა საპირფარეშოში მომხდარი ინციდენტიდან, ბულინგის ფაქტთან დაკავშირებით. სასამართლომ ეს ფაქტი დადასტურებულად სცნო. ხოლო დადუნაშვილის დედამ თქვა, რომ მისი შვილი არის მსხვერპლი, რომ მის შვილს კონფლიქტთან, რომელიც სკოლაში დაიწყო არანაირი შეხება არ ქონია. დავით ოქიტაშვილმა სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა სტატუსი, სადაც აღნიშნა რომ დადუნაშვილი იყო მსხვერპლი, ოქიტაშვილს უპასუხა სარალიძემ, გთავაზობთ ამ დაპირისპირების დეტალს:

„არ მინდოდა ამის დაწერა მაგრამ მაიძულე ბატონო დავით. შენ მო....ვ გამ....ლს როგორც კი არ დაამტკიცებ მაგ სიტყვებს, რომ ლევანი დათოს გამო მოკლეს“, — წერს სარალიძე. რამდენიმე დღით ადრე კი დათო ოქიტაშვილი წერდა, რომ ლევან დადუნაშვილი დათო სარალიძის გამო მოკლეს: „აბა, ახლა კარგად მომისმინეთ, თქვე მანქურთებო!!! აქამდე ვიკავებდი თავს, არ მინდოდა ამის დაწერა, მაიძულეთ ხო? ჰოდა, კარგად მომისმინეთ!!! რომელმა არაადამიანმა დაუწუნა ლევანის დედას ჩაცმულობა?! დადუნაშვილები შვილის ცხედრით ვაჭრობენო, შვილმოკლული მშობლები ჰქვიათ ამ გულისამრევ არსებებსო?! სუს-თან შეკრულები არიანო?! თქვე მკვლელებო და მდაბიოებო, ლევანის ნაცვამი მაისური აცვია მის დედას. ასე უფრო ეხუტება და ეფერება მონატრებულ შვილს და ეს რა მგლოვიარეაო, როგორ ბედავთ თქვე ამორალურებო! ეს ის ლევან დადუნაშვილია, რომელიც დათო სარალიძის დასაცავად და დასახმარებლად მივიდა იქ და დააკლეს. დიახ, ხმამაღლა ვიტყვი, რომ სარალიძეს შეეწირა ლევან დადუნაშვილი და აქციაზე მისულ ლევანის მამას ზურგი შეაქციეთ, სტვენა და „პრავების კაჩავი“ დაუწყეთ!!! და მერე გიკვირთ, რატომ არ მისცეს ჩვენება ბიჭებმაო, ზაზა?! შენი შვილის მკვლელებს შორს ნუ ეძებ, შენს გვერდში დგანან — კუპრავები, „ნაციონალები“, ზონდერები და სააკაშვილები!!! ჩვენებები მათ უნდა მისცენ შენი შვილის მკვლელობისათვის, რომ ბავშვებს მთელი 9 წლის მანძილზე დაუმახინჯეს ფსიქიკა და დღეს ასეთი შედეგების წინაშე ვდგავართ! კიდევ ერთხელ, ჩემი მხარდაჭერა ყველა შვილმკვდარ მშობელს“.

ფაქტიურად კომისიის სხდომაზე იგივე ითქვა, ოღონდ ეს მოკლული დადუნაშვილის დედამ თქვა! ცოტა ხნით ადრე კი ამავე კომისიის სხდომაზე სარალიძემ ხაზგასმით განაცხადა რომ დადუნაშვილი მის შვილს არ შეწირვია. უფრო ადრე, აქციების მსვლელობისას კი სარალიძემ აქციაზე მისულ, დათუნა სარალიძესთან ერთად მოკლულ ლევან დადუნაშვილის მამას ჯერ თბილად გადაეხვია, შემდეგ კი ელისო კილაძეს და მის ზონდერბრიგადას, მისცა საშუალება დადუნაშვილისთვის შეურაცხყოფა მიეყენებიათ და სუს-ის აგენტებიდან დაწყებული, შვილის სიკვდილით მოვაჭრე ეძახებინათ. ეს იყო მარაზმი და სხვათაშორის, სწორედ ამ მარაზმის გამო დარჩა სარალიძე მარტო ნაცებთან ერთად. ამ ყველაფერს თან დაერთო კუპრავას, „მთავარი გამომძიებლის“ მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლი სასამართლოში, რასაც წინ უსწრებდა სარალიძის „გატაცების ფაქტი“, „მუქარები“ და ასე შემდეგ.

აი, ეს არის ამ ეტაპზე მოცემულობა. თემის გაგრძელება რათქმა უნდა იქნება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

მასწავლებელო, გთხოვთ, მოგისმინოთ!

ეკა ფეფინ

– მოგწონს შენი შვილი? – ჰკითხეს ერთხელ ჩემს მეგობარს...

– რას ჰქვია, მომწონს, მიყვარს – უპასუხა დაბნეულმა.

– არა, ბებო, რომ გიყვარს, ცხადია და ვინ დაობს, კარგია, მაგრამ მთავარია, მოგწონდეს მისი ქცევა, სიტყვა და პასუხი, მისი დამოკიდებულება ადამიანებისა და სამყაროს მიმართ.

მინდა 51-ე და პირველი ექსპერიმენტალური სკოლის პედაგოგებს ვკითხო – მოგწონთ, თქვენი აღზრდილი მოსწავლეები?

დიდი ხანია, სკოლაში სწავლამ სადღაც სხვა პლანზე გადაიწია, წლებია – ყველა ბავშვს რეპეტიტორი სჭირდება საგნის დასაძლევად, რას არ იმიზეზებენ პედაგოგები – წიგნის სირთულეს, გაკვეთილის სიმცირეს, მოსწალეთა სიმრავლეს – ხოდა, უნდა ვატაროთ შვილები რეპეტიტორებთან, უნდა გადავიხადოთ ფული იმის სასწავლებლად, რაც სკოლის პროგრამაში შედის და სკოლის პედაგოგს უნდა ესწავლებინა, რომ შესძლებოდა.

არ შეუძლია რომ ასწავლოს და ძალაა? – ვერ მოკლავ. არ უნდა და რას უზამ? – ძალით როგორ აიძულებ.

თბილისის რომელ სკოლაშიც არ უნდა მიხვიდე, პედაგოგი გეუბნება, რომ დრო არ ჰყოფნის მოსწავლის დავალების შესამოწმებლად, განა ყველადღიურად, განა კვირიაში ერთხელ – ჩვენი შვილების დავალებები თვიდან თვემდე არ მოწმდება.

ტიროდა, ამას წინათ, ჩემი მეგობრის მეორეკლასელი გოგონა, რისთვის ვწერ დავალებებს, მე ხომ მაინტერესებს მასწავლებლის აზრი, რა მოხდება, რომ შეამოწმოსო...

მეორე დღეს მივიდა ეს ჩემი მეგობარი სკოლაში და პედაგოგს სთხოვა, იქნებ დავალება შეუმოწმოთ ჩემს შვილს, თორემ, განიცდისო.

იმავე დღეს, ფეხზე ააყენა პედაგოგმა ჩემი მეგობრის გოგონა და კლასელების თანდასწრებით უთხრა: შენმა დედამ რომ დავალების შემოწმება მომთხოვა, ვერ ხედავ როგორი დაკავებული ვარო.

უფრო მყარად ატირებული დაბრუნდა ბავშვი სახლში, მთელი კლასი დამცინოდა, დედაშენმა მასწავლებელს დავალების შემოწმება სთხოვაო...

ხოდა, დაკავებულნო, გაკვეთილის შემოწმებაც რომ გიჭირთ და თითზე ჩამოსათვლელნი დაგვრჩით მართლა პედაგოგნი, რომელთაც შეუძლიათ ასწავლონ – თუ შვილები რეპეტიტორებთან უნდა ვატაროთ, თუ უფასო სწავლაში, მაინც უნდა ვიხადოთ ფული, ან უსწავლელნი დავრჩეთ – იქნება და კეთილი ინებოთ და ფიზიკურად ცოცხალნი მაინც დაგვიბრუნოთ სახლში ჩვენი შვილები.

გაკვეთილებიდან წავიდა ხორავას ქუჩაზე ყველა მოსწავლე, ყველა მეორე მოსწავლეს ცივი იარაღი ედო ჯიბეში.

იმ დილით ჯერ კიდევ არავინ იცოდა, რომ ჩხუბი მოხდებოდა,

იმ დილით არავინ იყო მზად დანის დასარტყამად, მაგრამ მაინც შეირაღებულნი იყვნენ – ესე იგი, ეს მათი ბუნებრივი მდგომარეობაა, ესე იგი, ყოველ დილით იკაზმებიან დანებით...

შეუძლებელია, ზუსტად ვიცი, შეუძლებელია, მთელი წლის მანძილზე მოსწავლეებმა დანებით იარონ სკოლებში და პედაგოგებმა ვერ შეამჩნიონ.

მე რომ პედაგოგი ვიყო და ჩემი მოსწავლე დანით დადიოდეს – მანამდე დავიბარებ ამ მოსწავლის მშობელს, სანამ არ გავაგებინებ, რომ მისი შვილი შეიძლება ან მოკლან, ან ციხეში ჩასვან მკვლელობისთვის.

მე რომ პედაგოგი ვიყო და ვერ გავაგებინო მშობლებს, რა შეიძლება მოჰყვეს მოსწავლეთა დანით სიარულს – განათლების სამინისტროს მივმართავ – ისინიც თუ არ იმოქმედებენ, შსს სამინისტროს და ისინიც თუ ვერას გახდებიან – ავდგები და სახლში წამოვალ – ვერ შევძლებ, ვიჯდე და ველოდო, როდის დაჩეხავენ ერთმანეთს ბავშვები.

90-იან წებში იყო დანების ფრიალი, თუ იყო. დიდი უჯრა ჰქონდა მამას, სადაც მოსწავლეთა ჩამორთმეულ დანებს ინახავდა – მერე მშობლებს იბარებდა და ხელწერილით ატანდა. ზოგს მშობელს არ მიჰქონდა დანა, ტოვებდა მამას დიდ უჯრაში, იმის შიშით, რომ მის შვილს ისევ არ ეპოვნა და არ წაეღო სკოლაში. როცა მამა გარდაიცვალა – ხელუხლებელი ვიპოვნე მის უჯრაში მოსწავლეებისთვის წართმეული დანები. ვუყურებდი და ვფიქრობდი: – ეს ბიჭები ახლა კაცები არიან, ახლა ოჯახები ჰყავთ, ახლა შვილებს ზრდიან, ახლა მადლიერნი არიან, რომ მამამ დანა ჩამოართვა, საშუალება არ მისცა, დანის გამოყენების...

მორალური პასუხისმგებლობა რომ გვერდით გადავდოთ, ხორავას ქუჩის გარჩევის მონაწილეებიდან, რამდენიმე ადასტურებს, რომ მასწავლებლებმა გააჩერეს და სთხოვეს, არ წასულიყვნენ საჩხუბრად. თუმცა, თხოვნა თხოვნად დარჩა და მოსწავლეები მაინც აღმოჩნდნენ ხორავას ქუჩის კუთხესთან.

რატომ რამდენიმე, მასწავლებელო, ყველას რატომ არ სთხოვეთ, ყველა თქვენი მოსწავლე არ იყო? ყველა თქვენ არ ჩაგაბარეთ აღსაზრდელად?

თხოვნით როგორ შემოიფარგლეთ მასწავლებელო, როგორ არ მიჰყევით ბოლომდე, როგორ არ დარეკეთ საპატრულოში, როგორ არ დაიბარეთ მშობლები, როგორ არ გადაუდექით წინ მოსწავლეებს?

რას, მასწავლებელო, რას აკეთებთ მაშინ, თუ არც აღზრდა გევალებათ, არც სწავლება და ფიზიკურად ცოცხლებსაც ვერ გვიბრუნებთ სახლებში შვილებს?

ფარული მკვლელია ჩემთვის ყველა ის პედაგოგი, რომელმაც იცოდა მოსალოდნელი ჩხუბის შესახებ და არაფერი მოიმოქმედა, ფარული მკვლელია, ყველა ის პედაგოგი, რომელმაც იცის, რომ მისი მოსწავლე დანით დადის და რეაქცია არა აქვს.

რა საჭიროა მაშ სკოლა, რა საჭიროა სკოლაში მორიგე პედაგოგები, თუ ვერაფერს ხედავენ, რა საჭიროა, მაშ, კლასის დამრიგებელი, თუ ვერაფერს ამჩნევს, რა საჭიროა მანდატური – თუ არაფრის კეთება ევალება?

სკოლებში უამრავი ბავშვის ხმა ისმის ერთად, ან მასწავლებლის ყვირილი.

რა გაყვირებთ, მასწავლებელო, ბავშვებს შესაშინებლად არ ვუშვებთ ჩვენ სკოლაში, რა გაყვირებთ, საშინელებათა ფილმში კი არ გიღებენ, რა გაყვირებთ, მასწავლებელო, სად გინახავთ ყვირილით დაშინებული ბავშვი ადამიანი გამოსულიყოს? ან ვის ეშინია იმ პედაგოგის, რომელიც სულ გაჰყვირის?

მშობლებისკენ იშვერთ ხელს და მესმის, კი, მშობლების როლი უდიდესია და მათ როლზეც დავწერ აუცილებლად, მაგრამ, მშობლის ვალი, თქვენ თქვენი ვალისგან არ გათავისუფლებთ, მასწავლებელო.

დანა კი არა, ტელეფონს ვერ რთავს ჩემი შვილი გაკვეთილზე – საჯარო სკოლაში სწავლობს ისიც.

51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორებო, არ გამიკვირდება, მალე ტანკებით რომ იარონ თქვენმა მოსწავლეებმა სკოლაში, არ გამიკვირდება, ავტომატები რომ შემოიტანონ გაკვეთილებზე.

ჩემი შვილის კლასის დამრიგებელს დანა კი არა, სიგარეტი არ მოეპარება, ვის შვილს მოუვიდა კამათი და ვისას არა – ყოველთვის იცის. მცირე დაძაბულობის შემთხვევაშიც კი – ბავშვი სახლში მარტო ვერ მიდის, ან მშობელს იბარებენ, ან პედაგოგი აცილებს.

ჩემი შვილის კლასის დამრიგებელიც ადამიანია და პედაგოგია და თქვენი პედაგოგებიც, პატივცემულო დირექტორებო?

ნუთუ, ძალიან ბევრს ვითხოვთ, ნუთუ, ესეც მეტია, რომ დილით სკოლაში გამოშვებული შვილი ცოცხალი დაგვიბრუნდეს სახლში?

რა ხელფასს ვიღებთო – მეტყვით ახლა პასუხად – 90-იან წლებში იყო პერიოდი 40 ლარი ჰქონდა მამას ხელფასი, არ მოდუნებულა, არ გაჩერებულა, ისევ ისე ხსნიდა გაკვეთილს, ისევ ისე იყო დაკავებული დანების ჩამორთმევით, ისევ ისე ეცალა ყველა მშობლისთვის და თუ რომელიმე მოსწავლეს დამხარება სჭირდებოდა, უანგაროდ ეხმარებოდა.

მყოფნიდა თუ არა მე მამას ხელფასი – არა, არ ჰყოფნიდა ჩემს მოვლა-პატრონობას 40 ლარი, სულ ვალი ჰქონდა მამას, შეიძლება ამ ვალებზე დარდმა გადაიყოლა, შეიძლება ჩვენს მოვლა-პატრონობაზე ფიქრმა შეიწირა – სამაგიეროდ, არც ერთი მოზარდის ცხოვრების გზის გამრუდებაში არ მიუძღვის წვლილი.

სულ ვფიქრობ და არ მესმის, რატომ არის ამ ორი სკოლის დირექტორი ისევ თავის ადგილას, რატომ არ დაიჭირეს, თუ მართლა იცოდნენ მოსალოდნელი ჩხუბის შესახებ და არ განაცხადეს, რას აკეთებს განათლების სამინისტრო – თუ გადაამოწმა მოსწავლეთა ნაამბობი და სიმართლე თუ დაადგინა? რატომ არ მოხდა სკოლების შემოწმება მკვლელობის მერეც კი? როცა ეჭვად მაინც იცი, რომ რომელიმე სკოლაში, დირექტორი თვალს ხუჭავს მოსწავლეები რომ დანებით დადიან და არ ამოწმებ – ეგაც ხომ მკვლელობის ხელშეწყობაა?

როდის ჩამოყალიბდა ჩვენს შორის ამდენი ფარული მკვლელი, როგორ შეიყარა ერთად ამდენი ფარული მკვლელი!

მშობლების და საზოგადოების შესახებ – შემდეგ ბლოგში – მაგრამ, როგორც ზემოთ ავღნიშნე – ყველას თავისი ვალი აქვს მოსახდელი, ერთის გადაუხდელობით, მეორე არ თავისუფლდება მოვალეობისგან!

555 46 08 04

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

ქ. თეთრიწყაროში, ჯავრიშვილის კლინიკა „ოფთალმიჯის“ ექიმებმა, უფასო სამედიცინო აქციის ფარგლებში, მოსახლეობას შეუმოწმეს მხედველობა, ჩაუტარეს ბიომიკროსკოპული გამოკვლევა და თვალის ფსკერის გამოკვლევა არაკონტაქტური გოლდმანის ლინზით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სულ მალე სოფელ ვეჯინში ამბულატორია სრულად ამუშავდება. მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა ამბულატორიის ახალი შენობა იქ მომუშავე ექიმებთან და მედპერსონალთან ერთად დაათვალიერა.

„ის სამშენებლო წუნი და ხარვეზები, რის გამოც აქამდე ახალ შენობაში გადმოსვლა ვერ მოხერხდა, გამოსწორებულია. სულ მალე ვეჯინის მოსახლეობას ექნება საშუალება, იდეალურ პირობებში მიიღოს სამედიცინო მომსახურება“, — აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა.

სოფელ ვეჯინის ამბულატორიის მშენებლობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 55 600 ლარი დაიხარჯა.

● უხვი ნალექის შედეგად ადიდებულმა „ნავთის ხევმა“ დატბორა და დააზიანა მიმდებარე გზა, რომელზეც ტრანსპორტით გადაადგილება შეუძლებელი გახდა. გარდა ამისა, სამი ოჯახი მისასვლელის გარეშე დარჩა. ქალაქ გურჯაანში „ნავთის ხევის“ მიმდებარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ოპერატიულად ჩატარდა. მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ და ამ დროისთვის გზა უკვე აღდგენილია. ასევე გაიწმინდა „ნავთის ხევიც“, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში არ გაწმენდილა.

● სოფელ ბაკურციხეში ე.წ. „სამადაანთ უბნის“ გზის მოასფალტება მიმდინარეობს. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდება და საბოლოოდ, მოასფალტდება 650 მეტრი გზა და მოეწყობა სანიაღვრე არხი.

გზის რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება, რისთვისაც 200 ათასამდე ლარი დაიხარჯება. პირველი ეტაპი აგვისტომდე დასრულდება.

● სოფელ ზეგაანში ცენტრალური გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში 1400 მეტრზე გზა მოასფალტდება. სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება. სატენდერო თანხა 411 124 ლარს შეადგენს.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

ევროპის დღის მონაწილე 80 მოხალისე, რომლებიც ევროპის დღესთან დაკავშირებით გამართულ შემეცნებით და გასართობ ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ, მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა სერტიფიკატებით დააჯილდოვა.

ჯონდო მდივნიშვილი: „მივესალმები ახალგაზრდების ჩართულობას „ევროპის დღის“ ფარგლებში გამართულ საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებებში. შემდგომ ეტაპზე ლაგოდეხელი ახალგაზრდები თავად გახდებიან ჩვენს რეგიონში ევროინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციის გამავრცელებლები, გისურვებთ წარმატებებს“.

გურჯაანი

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

სოფელ ბოდბეში მოსახლეობას უფასო გამოკვლევები ჩაუტარდა. აქციის ორგანიზატორები იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (თავმჯდომარე — მაია კვეზერელი-კოპაძე) და სიღნაღის მერია.

ადგილობრივთა დასახმარებლად ბოდბეში ჩავიდნენ თბილისის წამყვანი კლინიკის სპეციალისტები: ექიმი-კარდიოლოგი, თერაპევტი, პედიატრი, ოფთალმოლოგი, ოტოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, ნევროლოგი, ექიმი-რადიოლოგი, ლაბორანტი და ექთანი.

ასოციაციამ სოციალურად დაუცველებს ტანსაცმელი გადასცა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის ჭოპორტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ქუბრიაანთკარში მიმდინარეობს ჭაბურღილის და სასმელი წყლის ქსელის მოწყობის სამუშაოები. პროექტის დასრულების შემდეგ 200-მდე ოჯახი გაუმჯობესებული წყალმომარაგების სისტემით ისარგებლებს.

● ძლიერი წვიმის შედეგად მოვარდნილმა ღვარცოფმა მნიშვნელოვნად დააზიანა დუშეთის მუნიციპალიპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და სასმელი წყლის სათავე ნაგებობები.

ქ. დუშეთში დაიტბორა საცხოვრებელი სახლების სარდაფები, დაზიანდა შიდა გზები, ხევის ადიდების შედეგად დაზიანდა კობიაანთ დასახლებასთან დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლები ოპერატიულად ჩაერთნენ სამუშაოებში.

სტიქიის ადგილზე იმყოფებოდნენ როგორც ადგილობრივი, ისე სამხარეო ხელისუფლების წარმომადგენლები.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზებით დედოფლისწყაროში გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა.

მუნიციპალიტეტს ეწვივნენ გარემოს დაცვისა და სოფლის

დედოფლისწყარო

მეურნეობის მინისტრის მოადგილეები: სოლომონ პავლიაშვილი და ნინო თანდილაშვილი, რომლებმაც მუნიციპალიტეტის მერთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შირაქის ქარსაფარი ზოლის დეგრადირებული მონაკვეთის გამწვანების აქციაში მიიღეს მონაწილეობა.

კულტურის სახლის ეზოში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართეს სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტეტის მერმა, რომელმაც კერძოდ აღნიშნა:

„სწორედ იმ ადამიანების დამსახურებით, ვინც ახლა ჩვენ გვერდითაა, გვაქვს გარკვეული წინსვლა გაუდაბნოებასთან ბრძოლაში. შარშან ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 60 პროცენტით შემცირდა ხანძრის რაოდენობა. ასევე თქვენი დახმარებით, უახლოეს მომავალში სოფელ სამთაწყაროში ექსპლუატაციაში შევა ახალი სამელიორაციო სისტემა, რაც დაახლოებით 2 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მორწყვის საშუალებას მოგვცემს და ეს სოფელს ახალ სიცოცხლეს შესძენს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი და თქვენი ერთობლივი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და ნაბიჯ-ნაბიჯ საბოლოოდ დავამარცხებთ იმ გამოწვევას, რასაც გაუდაბნოება ჰქვია“.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

რამდენიმე დღის წინ მოსულმა ძლიერმა წვიმამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შიდა სასოფლო გზები დააზიანა, რამდენიმე სოფელში მეწყერი ჩამოწვა.

მუნიციპალიტეტის მერი, მერის პირველი მოადგილე, მერიის სტიქიის მუდმივმოქმედი კომისიის წევრები იმყოფებოდნენ სოფლებში და გაეცნენ დაზიანებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობას.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ზუგდიდში, 6 ახალაშენებულ კორპუსში 240 დევნილ ოჯახს ბინებს გადასცემს.

კენჭისყრის პრინციპით განაწილდა 48 ერთოთახიანი, 96 ოროთახიანი და 96 სამოთახიანი ბინები. გაითვალისწინეს შშმ პირთა საჭიროებები და მათ ბინები პირველ სართულებზე შეურჩიეს.

კენჭისყრის პროცედურას დევნილთა და განსახლების მინისტრის პირველი მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მაიზერ ნანავა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, სამეგრელოს რეგიონში კიდევ 9 ავარიული შენობა იხურება, იქ მცხოვრები ოჯახები კი ახალაშენებულ კორპუსებში გადავლენ.

ამ ეტაპზე ზუგდიდში, ბარამიას ქუჩაზე კიდევ 6 ახალი კორპუსი შენდება, სადაც ბინა 360 დევნილ ოჯახს გადაეცემა.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ფოთში, მდინარე რიონის სარეგულაციო ჰიდროკვანძის რეაბილიტაციის სამუშაოებს ქალაქის მერი გოჩა კურდღელია მოადგილეებთან, მამუკა პაპასკირთან და ირაკლი თოფურიასთან ერთად გაეცნო.

პროექტის ფარგლებში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდება სარეგულაციო ჰიდროკვანძს, აღდგება კაშხლისა და რეგულატორის

ძლიერი საქართველოსთვის

მარტვილი

ელექტრომექანიკური მოწყობილობები, გარემონტდება წყალგამყოფი კვანძის კონსტრუქცია და მისი დამხმარე ნაგებობები.

პროექტს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს. პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარე წლის მარტში დაიწყო და ივლისში დასრულდება.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში შიდა საავტომობილო გზებზე ასფალტბეტონის საფარი ამჟამად ოქტომბრის და შეროზიას ქუჩებზე იგება. პროექტი ასევე მოიცავს თამარ მეფის, ნ. გეგიას, წერეთლის, დადიანისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაციას. ჯამში ასფალტბეტონის საფარი დაიგება 3 500 მეტრზე. პროექტის ღირებულება 607 995 ლარია. ქალაქ მარტვილში გზების რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

მიმდინარე სამუშაოები მარტვილის მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე გრიგალავამ, მერის პირველ მოადგილესთან დავით სურმავასთან და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილესთან ალექსანდრე ახვლედიანთან ერთად დაათვალიერა.

● მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან შეხვედრებს განაგრძობს. ალექსანდრე გრიგალავა ამჯერად ქალაქ მარტვილში, ნალეფსაოს, საელიაოს და ქვაითის მოსახლეობას შეხვდა. მერი მათ პრობლემებს გაეცნო და ისაუბრა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, რომლებიც მუნიციპალიტეტის მასშტაბით იგეგმება.

მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში წამლობის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებმა ყოფილი ღვინის კომბინატის მიმდებარე ტერიტორიაზე იუსტიციის სახლის მშენებლობის პროცესი დაათვალიერეს.

იუსტიციის სახლის კონცეფციის შესაბამისად, სენაკშიც სამოქალაქო და საჯარო რეესტრის სამსახურები ერთ სივრცეში მოექცევა. აქვე განთავსდება ქორწინების სახლი და სასწავლო ცენტრი. სახელმწიფო უწყებებისა და კერძო სექტორის 400-ზე მეტი სერვისის ერთ სივრცეში მიღებას სენაკელებიც შეძლებენ.

„იუსტიციის სახლის“ სენაკის ფილიალის შენობა თავისი ინდივიდუალური სტილით ერთ-ერთი გამორჩეული ნაგებობა იქნება. მისიმშენებლობა მიმდინარე წლის თებერვალში დაიწყო და დეკემბერში დასრულდება.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● სოფელ მუხურში, ლუგელას ხეობაში, მდინარე ხობისწყალზე ჰიდროელექტროსადგურ „ხობიჰესი 2“-ის მშენებლობა მიმდინარეობს.

აქ მიმდინარე სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა სამუშაოების მენეჯერ მამუკა ბოკერიასთან ერთად დაათვალიერეს.

პროექტს შპს„ კავკასუს როუდ პროჯექტი“ ახორციელებს. ამ ეტაპზე 45-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

პროექტის ფარგლებში აშენდა ხიდი მდინარე გვალაშარაზე, მოეწყო ხიდ-ბოგირი მდინარე ნოხუერზე, მიმდინარეობს გზის მშენებლობა პორტალის სათავე ნაგებობამდე, სადაც დაიწყება გვირაბის 6-კმ.იანი მონაკვეთის მოწყობა.

„ხობიჰესი-2“-ის დადგმული სიმძლავრე 41,5 მგვტ იქნება. პროექტის თანახმად, სამუშაოები 2020 წლისთვის დასრულდება. მშენებლობისთვის დაახლოებით 75 000 000 აშშ დოლარი დაიხარჯება.

● მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები სტიქიის შედეგებს ადმინისტრაციულ ერთეულებში ეცნობიან. მათ დაათვალიერეს ის ადგილები, სადაც 23 ივნისს მოსული ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, ჩამორეცხილია შიდასაუბნო გზები, მოშლილია ხიდ-ბოგირები. უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა აგრეთვე მოსახლეობის ეზოები.

სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლის სპეციალური კომისია. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მასალები შესაბამის სტრუქტურებს გადაეგზავნებათ.

დათო გოგუამ ადგილობრივებს, შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარება აღუთქვა.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

მარნეულში დასრულდა საინფორმაციო კამპანია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ. კამპანიის ფარგლებში, მოსახლეობასთან ბოლო შეხვედრა საბაჟო საკითხებს (ექსპორტი-იმპორტის), საგადასახადო კოდექსში შეტანილ ცვლილებებსა და მოგების გადასახადს ეხებოდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ ქვემო ქართლის გუბერნიისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელი პირები, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლები და თემით დაინტერესებული პირები.

აღნიშნული კამპანიის მიზანია, თითოეულმა მოქალაქემ მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია იმ სიკეთეებისა და შესაძლებლობების შესახებ, რასაც სახელმწიფო სხვადასხვა მიმართულებით სთავაზობს მათ.

მარნეული

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

ქალაქ ბოლნისში წელს ადგილობრივი ბაზალტით რამდენიმე ქუჩის მონაკვეთი მოპირკეთდება. ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ელექტრონული ტენდერი ოთხ ობიექტზე უკვე გამოაცხადა. ბოლნისის ბაზალტით წისქვილის, ლადო ასათიანის, ფარნავაზ მეფის, შოთა რუსთაველისა და მერაბ კოსტავას ქუჩების გარკვეული მონაკვეთები მოიკირწყლება.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით განხორციელდება და აქ ადგილობრივები დასაქმდებიან.

დმანისის მუნიციპალიტეტში

სოფელ საფარლოს მოსახლეობას C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა. მობილური ლაბორატორია სოფლის ამბულატორიის შენობასთან იყო განთავსებული და ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა საშუალება, ჩაეტარებინა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი.

აქციის ორგანიზატორია C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ხოლო ხელშემწყობი — მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

დმანისი

ტესტირება 75 მოქალაქეს ჩაუტარდა.

წალკის მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტში კუშინარდევანის და კუში-ავრანლოს დამაკავშირებელი საავტომობილო გზის საფარი წესრიგდება. აღნიშნულ სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება წლების განმავლობაში მოსახლეობისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდა, რადგან თავისუფლად გადაადგილების პრობლემას ქმნიდა.

კუში-ნარდევანის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 1248 732 ლარით ფინანსდება, რაც შეეხება კუში-ავრანლოს დამაკავშირებელ გზაზე ბეტონის საფარის დაგებას, მასზე რეგიონული განვითარების ფონდიდან 1767 642 ლარი დაიხარჯება.

ერთი ყველას წინააღმდეგ!

საფრანგეთის პრეზიდენტი გერმანიაში ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდა, სადაც კანცლერ ანგელა მერკელთან ევროკავშირის რეფორმირების საკითხზე უნდა ემსჯელათ. თუმცა მიგრანტების პრობლემამ მათ დღის წესრიგი შეაცვლევინა. კონკრეტულად რაზე შეთანხმდნენ ისინი, უცნობია. „...გვსურს, მიგრანტების პრობლემაზე საერთო აზრი გამოვიტანოთ და არ დავუშვათ ევროკავშირში განხეთქილება“, — განაცხადა ანგელა მერკელმა. რამდენად მოხერხდება ერთიანობის შენარჩუნება, ბრიუსელში, ამ დღეებში ევროკავშირის სამიტზე გამოჩნდება.

გერმანელი პოლიტოლოგის ალექსანდრ რარის განცხადებით, მერკელი არნახულ კრიზისშია, მოსახლეობის თითქმის 50 პროცენტი მის გადადგომას ითხოვს. არადა, ჟურნალ „თაიმსის“ გამოკითხვებით, მერკელი 2015 წლის პოლიტიკოსად იყო დასახელებული. როგორც ამბობენ, „დრონი მეფობენ“. ახლა ადვილი შესაძლებელია, იგი უმუშევარიც დარჩეს. ანგელა მერკელს ორი კვირის ვადა აქვს ბუნდესტაგიდან, მოაგვაროს მიგრანტების პრობლემა, ანუ დახუროს კარი, რომელიც თავად გააღო მიგრანტებისთვის. გერმანიის შსს-ის მინისტრი მუქარაზე გადავიდა — მისი განცხადებით, თუ მერკელი არ მოაგვარებს საკითხს, ის პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს და ქვეყნის საზღვრებს ჩაკეტავს. როგორ შეძლებს მერკელი ორ კვირაში ასეთი ღრმა კრიზისის მოგვარებას, ძნელი სათქმელია.

„...ამერიკის შეერთებული შტატები არ გახდება მიგრანტების ბანაკი. ნახეთ, რა ხდება ევროპაში. გერმანიაში ხალხმა ზურგი შეაქცია მთავრობას. ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში არ დავუშვებ მიგრანტების მოზღვავებას“, — განაცხადა დონალდ ტრამპმა. ამ სიტყვების გამო იგი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გააკრიტიკეს. გაეროს გარდა, ტრამპმა გერმანელების რისხვაც დაიმსახურა. გერმანული პრესა ღიად აცხადებს, რომ აშშ-სთან ურთიერთობა დაეძაბათ. აშშ-ის გამოცემები მკვეთრად აკრიტიკებენ, გერმანული პრესა დონალდ ტრამპს აგრესიულ მოწინააღმდეგედ ასახელებს, თეთრ სახლს კი გერმანიის მიმართ აგრესიაში ადანაშაულებენ. უფრო მეტიც, მათი განცხადებით, ტრამპის ნდობა აღარ შეიძლება.

ექსპერტების ცნობით, მაკრონი გერმანიაში არსებული კრიზისით სარგებლობს და ცდილობს, ევროპის ლიდერობა ითავოს. გასულ კვირას პარიზში ვიზიტით იმყოფებოდა ესპანეთის ახალარჩეული პრემიერ-მინისტრი პედრო სანჩესი. დღის წესრიგში მთავარი საკითხი კვლავ მიგრანტების პრობლემა იყო. მაკრონი წინადადებით გამოვიდა, ქვეყანას, რომელიც უარს იტყვის მიგრანტების მიღებაზე, ევროკავშირისგან ფინანსური სანქციები დაუწესდეს. დაუჭერენ თუ არა მხარს ამ წინადადებას სხვა ქვეყნები, ახლა ამის განჭვრეტა ძნელია. საინტერესო ის გახლავთ, რომ უნგრეთში, რომელიც ევროკავშირის წევრია, მიგრანტების დახმარებისთვის სოლიდური ჯარიმაა დაწესებული.

სენსაციური განცხადება გააკეთეს გასულ კვირას აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში პირველმა დიპლომატმა მაიკლ პომპეომ და გაეროს უშიშროების საბჭოში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ნიკი ჰეილიმ. როგორც საზოგადოებას დიპლომატებმა ამცნეს, აშშ აჩერებს წევრობას გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის საბჭოში. მათი განცხადებით, საბჭოს წევრი ქვეყნების ნაწილი თავად არღვევს ადამიანის უფლებებს და ისრაელის მიმართ მტრულად არის განწყობილი. აშშ-ის გადაწყვეტილება იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ გამოცდილი პოლიტოლოგები დღემდე ვერაფერს ამბობენ.

არანაკლებ სენსაციური აღმოჩნდა რუსეთის გადაწყვეტილება. რუსეთს ქვეყნის სავალუტო-სარეზერვო ფონდის 96 მილიარდი დოლარი აშშ-ის ფასიან ქაღალდებში, ობლიგაციებში ჰქონდა დაბანდებული, გასულ კვირას ფასიან ქაღალდებში დაბანდებული თანხა მან გაანახევრა, ანუ 48 მლდრ ქვეყანაში დააბრუნა. რუსეთის მხრიდან მსგავს ნაბიჯს არავინ მოელოდა. ექსპერტები აზრით, ობლიგაციების გაყიდვა აშშ-ის ეკონომიკისთვის, შესაძლოა, დამანგრეველი აღმოჩნდეს. ექსპერტების არც ამერიკული ვალუტის დევალვაციას გამორიცხავენ. მიმომხილველები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზე, რომ დონალდ ტრამპმა სავაჭრო ომი, ფაქტობრივად, მსოფლიოს გამოუცხადა. განსაკუთრებით ჩინეთთან აქვს პრეტენზიები და დაწესებული სანქციები ამ ქვეყნისკენ არის მიმართული. ცნობილია, რომ ჩინეთი გაცილებით დიდი თანხის აშშ-ის ობლიგაციების მფლობელია, ჩინეთი და რუსეთი კი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. ექსპერტების განცხადებით, თუ ჩინეთი, რუსეთის მსგავსად, მოიცილებს აშშ-ის ფასიან ქაღალდებს, შედეგი კატასტროფული იქნება და არა მარტო ამერიკისთვის.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩინ ინი სინგაპურში ტრამპთან შეხვედრის შემდეგ ჩინეთს ეწვია ვიზიტით, სადაც ტრადიციულად თბილად მიიღეს. ტრამპთან სამიტი მხარეებმა დადებითად შეაფასეს. ამის გარდა, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კიმ ჩინ ინი რუსეთში დაგეგმილ ეკონომიკურ სამიტზე პერსონალურად მიიწვია. ექსპერტები ტრამპის საუბარს სინგაპურში მიღწეულ წარმატებაზე, ნაადრევად მიიჩნევენ.

ირანელები გამოსავალს ეძებენ აშშ-ის მიერ დაწესებული სანქციების შესამსუბუქებლად და ევროკავშირს სთავაზობენ, ნავთობზე ანგარიშსწორება ინტერნეტით, ორივე მხარისთვის მისაღები პირობებით განახორციელონ. ირანელები იმედოვნებენ, რომ ევროკავშირის ქვეყნები, აშშ-ის მსგავსად, არ გავლენ ბირთვული შეთანხმებიდან. „წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნებით, განვაახლოთ გამდიდრებულ ურანზე მუშაობა“, — აცხადებენ ირანელები.

გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ დონალდ ტრამპის თანაშემწე უსაფრთხოების საკითხებში ჯონ ბოლტონი უახლოეს დღეებში ოფიციალური ვიზიტით მოსკოვს ეწვევა. ასევე ცნობილი გახდა, რომ ბოლტონის გარდა, მოსკოვში ამერიკელი სენატორებიც ჩადიან. მაიკლ პომპეოს განცხადებით, ჯონ ბოლტონის ვიზიტის შემდეგ გახდება ცნობილი დონალდ ტრამპისა და ვლადიმირ პუტინის შეხვედრის თარიღი. ცნობილია, რომ 11–12 ივლისს დაგეგმილია ნატოს სამიტი. ექსპერტების ვარაუდით, სწორედ სამიტის შემდეგ არის მოსალოდნელი აშშ-რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა. თუმცა რუსეთის პრეზიდენტის ადამინისტრაცია პრესას ნაჩქარევი დასკვნების გაკეთებისგან თავშეკავებს ურჩევს. მათი თქმით, როდესაც რუსეთის მხარე შეხვედრისთვის მზად იქნება, ორმხრივი შეთანხმებით გააკეთებენ ოფიციალურ განცხადებას შეხვედრის თარიღზე. დასავლელი ექსპერტების ვარაუდით, ახლა უკვე რუსეთი კარნახობს პირობებს ამერიკულ მხარეს. დაველოდოთ, წინ საკმაოდ საინტერესო მოვლენები გველის.

გია ბურდული
551 71 07 27

ეს რა გვახუხე, ხუხა?

ბოლო დროს ფრიად გააქტიურებული ბატონი ხუხა (იგივე გია ხუხაშვილი) ახალ-ახალი სენსაციური განცხადებებით გვაოცებს.

მორიგი ასეთი განცხადება ბატონმა ხუხამ გასულ კვირას ერთ-ერთი გაზეთის ფურცლებზე მას შემდეგ გააკეთა, რაც გიორგი კვირიკაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან დაიფრინეს.

— მე მკითხეთ, ვინ არის გიორგი კვირიკაშვილი. სამსახურიდან გაგდებული, ერთი უმუშევარი კაცი იყო. შემეცოდა და ბატონ ბიძინას მივუყვანე. ასე დაიწყო კვირიკაშვილის კარიერაო, — ბრძანებს ბატონი ხუხა.

მართალია, ბატონი ხუხა არ აზუსტებს, ისეთი რა უთხრა ბატონ ბიძინას მის მიერ სამსახურიდან გაგდებული კაცის შესახებ, ისეთი რა რაკურსით შეახედა ცოტა ხნის წინათ „დაბრაკული“ კვირიკაშვილისთვის, რომ ბატონმა ბიძინამ მკვეთრად შეიცვალა აზრი მის ყოფილ თანამშრომელზე?

როგორც ამბობენ, ბატონ ხუხას უებრო ნიჭი აქვს შავის თეთრად და თეთრის შავად წარმოჩენისა, რასაც, საჭიროების შემთხვევაში, ეფექტურად იყენებს.

ამასთან ერთად, რომ გელაპარაკება, პირდაპიორ ვენაში შედის თურმე შარბათივით და გულამდე აღწევს.

როგორც ჩანს, ეს ნიჭები გამოიყენა ბატონმა ხუხამ და ბიძინა ივანიშვილს სამსახურიდან გაგდებული კაცი უკან მოაბრუნებინა.

ბატონმა ხუხამ, სანამ კვირიკაშვილს შეუყენებდა ოლიმპისკენ მიმავალ გზას, კიდევ ერთ პერსონას შეუწყო ხელი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ფიგურად ქცევაში.

ეს პერსონა, ბატონი ხუხას რჩევის წყალობით, ჯერ ბატონი ბიძინას ფავორიტი გახდა, სულ მალე კი არც მეტი, არც ნაკლები, საქართველოს პრეზიდენტის დაფნის გვირგვინიც დაიდგა, უფრო ზუსტად, დაადგეს ფილოსოფიურ თავზე.

თუმცა სანამ ეს ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდებოდა, ბატონ ხუხას ბატონი ბიძინა დუშეთში აუყვანია — ერთი მაგარი ფილოსოფოსი კაცი უნდა გაგაცნო, ქართველი კანტი, ქართველი პლატონი, ბრძენთაბრძენი, უჭკვიანესი და უწესიერესი ადამიანიო.

სულ რაღაც ექვს თვეში ამ უჭკვიანესმა და უწესიერესმა ისეთი რაღაცები მოხია, ბიძინა ივანიშვილი გაკვირვებული და გაოცებული იძახდა — როგორ გამიცრუა იმედები, 60 წლის კაცი ვხდები და ადამიანის ასეთი მეტამორფოზა არ მინახავსო.

ასე რომ, ორი დიდი დამსახურება მიუძღვის ბატონ ხუხას ქართული პოლიტიკის და საქართველოს წინაშე — მარგველაშვილის გაპრეზიდენტება და კვირიკაშვილის გაპრემიერება.

— ბატონ ხუხას დავუღუპივართო, — იტყვის ვინმე ინტრიგანი.

კი, ასეა, მაგრამ ბატონი ხუხა ამის გამო ვერანაირ პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს და თავმოწონებით გაიძახის — მარგველაშვილიც და კვირიკაშვილიც „ქართულ ოცნებაში“ მე მივიყვანეო.

ბარემ ბოლომდე გაგვიმხილეთ, კიდევ ვინ მოიყვანეთ თქვენ, ბატონო ხუხა, ქართულ პოლიტიკაში რომ ფრთხილად ვიყოთ და რაღაც ზომები მივიღოთ, სანამ თქვენ მიერ მოყვანილი რომელიმე სუბიექტი ახალ შარში არ გაგვაყოფინებს თავს.

ნიკანორი

ბედის ირონია არ არის, ნიკანორი გვარად მელია იყოს?!

ეგ რომ ჩხუბში შევარდება, ეგ რომ მკლავებს გაშლის და მუშტების ქნევას დაიწყებს, ეგ რომ „ტარანზე“ მიდის და ოთხ-ხუთ კაცს რომ აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტავს, ეგ რომ „კაჩაობას“ დაიწყებს და მოწინააღმდეგის „დუხით“ დაგდებას ცდილობს, ეგ რომ თავურს დააძგერებს „ოპონენტს“, სადაც სამართალია, ნიკანორს მელია კია არა, ლომია, ან ვეფხვია უნდა ჰქონდეს გვარად.

ნიკანორ ლომია! ნიკანორ ვეფხვია! — არა მარტო კარგად ჟღერს, არამედ პიროვნების ნამდვილ სახესაც, მის პიროვნულ პორტრეტსაც ზუსტად გამოხატავს.

კიდევ უფრო კარგი იქნებოდა, ნიოკანორს მკლავაძე ან მოჩხუბარიძე რომ რქმეოდა, მაგრამ ბედის განაჩენს სად წაუხვალ?

სადაც ეს ნიკანორი მიდის, ჩხუბიც და აყალმაყალიც იქ იწყება — ასე იყო კორცხელში, ასე იყო ბორჯომში, ასე მოხდა ოზურგეთშიც.

სხვათა შორის, იგივე ამბები დატრიალდა პარლამენტშიც, როცა აქამდე წყნარ და მშვიდ კვირიკაშვილს კეთილების მოკითხვა გამოსტყუა.

იქნებ, დროა, ვინმემ იკითხოს, პროვოკატორი ხომ არ არის ეს ნიკანორი და ვინმეს დავალებას ხომ არ ასრულებს, რომ ადამიანები ერთმანეთს დააპირისპიროს, სიტუაცია მუდმივად დაძაბოს და დესტაბილიზაციის საფრთხე შექმნას?

ხომ შეიძლება, ეს ცემა-ტყეპა ერთხელაც დიდ უბედურებაში გადაიზარდოს და ქვეყანაში საგანგაშო პროცესები დაიწყოს?

ჰოდა, სანამ აქამდე მისულა საქმე, ხომ არ ჯობია, ამ გათავხედებულ ნიკანორს ვინმემ ხელები დაუმოკლოს და პროვოკაციების პერმანენტული სერიალების მოწყობისთვის სათანადო პასუხი მოსთხოვოს?

როდის დაინტერესდებიან სათანადო ორგანოები შპს „მექანიზატორში“ შექმნილი საგანგაშო მდგომარეობით?

ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა სარგებლობა უნდა მოუტანოს ქვეყანას ტურიზმის „ბუმმა“, როცა სოფლის მეურნეობის იმდენ პროდუქტსაც კი ვერ აწარმოებ, რომ საკუთარი მოსახლეობა გამოკვებო. ეკონომიკური საკითხების ექსპერტის, პროფესორ **სოსო არჩვაძის** განცხადებით, ტურისტების მიერ შემოტანილი ფულის დიდი ნაწილი ქვეყნიდან გადის, რადგან კვების პროდუქტები უცხოეთიდან, ძირითადად თურქეთიდან შემოდის. ყოველწლიურად მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების პროდუქციის იმპორტი ხდება, ანუ თურქეთის ეკონომიკას ვანვითარებთ. თუ ასე გაგრძელდა, საქართველო ამ პროდუქციის უტილიზაციის და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენების ადგილი იქნებაო. ალბათ ამ ყველაფრიდან გამომდინარე იყო, ბიძინა ივანიშვილმა სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად რომ გამოაცხადა. მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროგრამაც ამოქმედდა, რასაც საქმეში ჩახედული ადამიანების განცხადებით, დადებითი შედეგი მოყვა, დაიხნა და დაითესა წლობით მიტოვებული მიწის ფართობები. სოფელზე გულაცრუებულმა, ოჯახის სარჩენად დედაქალაქში თუ უცხოეთში გადახვეწილმა გლეხობამ, უკან დაბრუნება დაიწყო, მაგრამ ეს „ბედნიერება“ დიდხანს არ გაგრძელებულა. ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, ტრადიციულ აგრარულ ქვეყანაში სოფლის მეურნეობა რატომღაც აღარ მიიჩნიეს პრიორიტეტულ დარგად, რაც დროებით გამოცოცხლებულ სოფელს და ჩვენ ბაზარსაც დაეტყო. 2016 წლის სექტემბერში სოფლის მეურნეობის სამინისტროდან კი მოგვწერეს, ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში 772.616 ბენეფიციარი (წინა წლებთან შედარებით გაცილებით მეტი) განისაზღვრა, 1 აგვისტოს მდგომარეობით, 44.698.610 ლარის ღირებულების სარგებელი იქნა ათვისებულიო, ისე, დამუშავებული ფართობების მოცულობა ოფიციალური მონაცემებითაც საგრძნობლად შემცირებულია, მაგრამ საპირისპიროს ამტკიცებენ სანდო წყაროები. გასაგებია, რომ დახმარების პროგრამამ ამოწურა თავისი ვადა, მაგრამ ის ტექნიკა, რომელიც სახელმწიფომ გლეხობისა და ფერმერების მომსახურეობისთვის შეიძინა, ხომ უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში, რომ ამ ადამიანებმა საკუთარი ფინანსებით დაიქირაონ და გამოიყენონ? კომპეტენტური და სანდო წყაროების ცნობით, სახელმწიფო შპს **„მექანიზატორს“**, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურაა, კი ყავს 1300-მდე ტრაქტორი, მაგრამ აქედან 350 თუ იქნება მეტნაკლებად მუშა მდგომარეობაში. როდესაც მივიღეთ ინფორმაცია, რომ დაზიანებული ტრაქტორებით იყო გამოვსხებული „მექანიზატორის“

სერვისცენტრები, ბუნებრივია, დავუკავშირდით სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საიდანაც გვაცნობეს, რომ „მექანიზატორის“ ათას ერთეულამდე ტექნიკა პროგრამით გათვალისწინებულ ძირითად სამუშაოებს ასრულებს. პროცესის მიმდინარეობისას, ბუნებრივია ტექნიკის დაზიანება, მაქსიმალურად ოპერატიულად ხდება მათი აღდგენა, რათა ხელი არ შეეშალოს მუშა პროცესს. 2015 წლის 23 მაისიდან 2016 წლის 7 სექტემბრამდე პერიოდში დაზიანდა და შემდგომ აღდგენილი იქნა შპს „მექანიზატორის“ კუთვნილი 89 ერთეული კომბაინი და 343 ერთეული ტრაქტორი. აგროვადების გათვალისწინებით, იმ რეგიონებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ხორციელდება, შპს „მექანიზატორის“ ტექნიკა აქტიურად არის ჩართული პროცესში, რა რაოდენობაც საჭიროა აღნიშნული სამუშაოების შესრულებისასო.

თუ ასე გამართულად მუშაობდა შპს „მექნიზატორის“ ტექნიკური პარკი, მაშინ რატომ დაარბენინებდნენ ტრაქტორებს აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონებს შორის, საგაზაფხულო ხვნის პროცესს კახეთში რომ დაასრულებდნენ, მერე დასავლეთის რეგიონში გადაყავდათ იგივე სამუშაოების შესასრულებლად, რადგან გამართული ტექნიკა არ ყოფნიდათ. დასავლეთ საქართველოში ერთი და ორი თვით გვიან დგება გაზაფხული? ცხადია, დასავლეთის რეგიონშიც გვიანდებოდა ხვნის პროცესი, კახეთში უკვე სხვა სამუშაოების დრო დგებოდა, ცხადია, ტექნიკა იქ არ იყო და გვიანდებოდა ამ სამუშაოების შესრულება. აგროვადები თუ დაირღვა, მერე აზრი ეკარგება ამ სამუშაოებს, რადგან ვეღარ მიიღებ მოსავალს, ფუჭი შრომაა. ამიტომ გახდა ხალხი იძულებული დახნული მინდვრები მიეტოვებინა, მით უმეტეს, რომ შემდგომ სამუშაოებში ფული თვითონ უნდა გადაეხადა. არცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ გადაყრის წყალში ფინანსებსა და შრომას. ჩვენ გამომძიებლის ფუნქციაზე არ გვაქვს პრეტენზია, რომ მტყუან-მართალი ვარჩიოთ, ეს შესაბამისი ორგანოების პრეროგატივაა. სხვათა შორის, სახელმწიფო აუდიტმა დადო დასკვნა, რომ იმ ტექნიკიდან მიღებული შემოსავალი, რომლის შეძენაც სახელმწიფოს მილიონობით ლარი დაუჯდა, ნახევარ მილიონსაც კი არ შეადგენდა. თანაც ეს დასკვნა იმ წლების მონაცემების მიხედვით დაიდო, როცა ეს ტექნიკა, ასე თუ ისე, სრული დატვირთვით მუშაობდა, ანუ 2013–2015 წლებში. რატომ არ დაინტერესდა მთავრობა შემდეგი წლების მუშაობის შესწავლით, ესეც სერიოზულ კითხვას ბადებს.

„საერთო გაზეთს“ ხელში ჩაუვარდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №2469 განკარგულება (მას ხელს აწერს მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი), რომელიც შპს „მექანიზატორის“ საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს ეხება. განკარგულების თანახმად „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ ოთხი მილიონი ლარი უნდა მიმართოს შპს „მექანიზატორის“ ანგარიშზე კაპიტალის გასაზრდელად, შემდგომში კომპანიის მიერ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ტექნიკურად გამართვისთვის საჭირო ღონისძიებების დასაფინანსებლად და 2015 წელს წარმოშობილი ვალდებულებების დასაფარად. ამ ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, ფინანსთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადების საფუძველზე, უნდა განეხორციელებინა ცვლილება ამ უწყების 2015 წლის ბიუჯეტში. გარდა ამისა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უფლება მიეცეს შპს „მექანიზატორს“, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის საჭირო სათადარიგო ნაწილების (მათ შორის, საბურავები) და საცხებ-საპოხი მასალების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობითო. მარტივი ენით რომ ვთქვათ, შპს „მექანიზატორს“ ეს ოთხი მილიონი ლარი იმისთვის გამოუყვეს, რომ შეესყიდა სათადარიგო ნაწილები, აღედგინა დაზიანებული ტექნიკა და მექანიზატორებითვის დაეფარათ სახელფასო დავალიანება. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ ამ კონტიგენტს თვეობით უგვიანებდნენ ხელფასებს. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, იყო შემთხვევები, როცა საერთოდ არ უნაზღაურებდნენ მათ შრომას, იმის მომიზეზებით, შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაცია სათაო ოფისამდე არ მოსულაო, რომელი მხარე ითავსებდა ილუზიონისტის „ფუნქციას“, ადგილობრივი სერვისცენტრი თუ „მექანიზატორის“ ადმინისტრაცია, ღმერთმა იცის. პროფესსიონალ მექანიზატორებს ისედაც მიზერულ ხელფასს უხდიდნენ, ამასაც უგვიანებდნენ ან არ უხდიდნენ, რითაც აიძულეს ეს ხალხი სამსახურიდან წასულიყო. მერე მოკრიბეს შემთხვევითი ადამიანები და დაასაქმეს, ვითომდა ფინანსების დაზოგვის მიზნით, იაფფასიან, უხარისხო საპოხ-საცხებ მასალებს ყიდულობდნენ და იყენებდნენ, სწორედ ეს ყველაფერი იყო ძვირადღირებული ტექნიკის დაზიანების მიზეზი. ხდებოდა თუ არა ამ ტექნიკის აღდგენა-შეკეთება, ესეც საკითხავია, სპეციალისტთა განცხადებით, „მექანიზატორმა“ აუქციონზე დაზიანებული, ფაქტობრივად გაძარცვული ტრაქტორები გამოიტანა, რომლებსაც ისეთი ფასი ადევს, არავის ულირს შეძენა. მათი შეკეთება იმხელა თანხა დაჯდება, მაგ ფასში მთლად ახალ ტრაქტორს იყიდიო, ამბობენ. სამთავრობო განკარგულებაში, სათადარიგო ნაწილების შესაძენად, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერებზეცაა საუბარი, თუმცა დაინტერესებულ პირებს, ტენდერების გამოცხადება-ჩატარების შესახებ არაფერი სმენიათ. შპს „მექანიზატორმა“ ამ ტექნიკის დილერი კომპანიების მესვეურთ თურმე ისეთი ფოკუსი ჩაუტარა, რომ დღესაც ჭკუაზე ვერ მოსულან. სანდო წყაროს ცნობით, მათ 2017 წლის დასაწყისში ე.წ. ინვენტარიზაცია ჩაატარებინეს, ვითომდა მათთვის უნდა მიეცათ შეკვეთა, შეადგენინეს დოკუმენტაცია რომელ ტრაქტორს რა სათადარიგო ნაწილი ჭირდებოდა, მიიღეს სასურველი ინფორმაცია, მერე ესენი „გადაყარეს“ და სულ სხვა, უცხოურ კომპანიასთან დაამყარეს ურთიერთობა. იმ კომპანიას კი შემოატანინეს სათადარიგო ნაწილები, სავარაუდოდ გაცილებით მაღალ ფასში, გამოიყენეს თუ არა ეს მარაგ-ნაწილები, სათანადო ორგანოების მსჯელობის თემაა. ჩვენ ინფორმაცია ადრეც გვქონდა და დავწერეთ კიდეც, რომ სათადარიგო ნაწილებს არ ყიდულობდნენ, სხვა დაზიანებული ტექნიკიდან ხსნიდნენ, რამდენიმე ტრაქტორიდან ერთს აკოწიწებდნენ, რომ მთლად არ გაჩერებულიყო ტექნიკური პარკი, რაც მათთვის შემოსავლის დაკარგვას ნიშნავდა. სპეციალისტთა განცხადებით, ტექნიკის ძარცვა, თუნდაც ასეთი

„კეთილშობილური“ მიზნით, სისხლის სამართლის დანაშაულია და თავის დროზე ისჯებოდნენ კიდეც ახალი მოდის „კონსტრუქტორები“.

სად წავიდა ზემოხსენებული ოთხი მილიონი ლარი? სად წავიდა ის ოთხი მილიონი და „განმკარგავების“ ხელფასებსა და დანამატებს მოხმარდა, სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინცო, აცხადებენ სანდო წყაროები. რატომ ანიჭებენ საქართველოს ხელისუფალნი უპირატესობას უცხოელ ბიზნესმენებსა თუ სპეციალისტებს, ეს ცალკე საკითხია. რომ კითხო, საკუთარი მოქალაქეების დასაქმებისთვის „იღწვიან“. შპს „მექანიზატორმა“, რომელიც სახელმწიფო ორგანიზაციაა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ანუ საკუთარი მოქალაქეების ჯიბიდან ფინანსდება და ამ ხალხის დასაქმებასა და კეთილდღეობაზე უნდა ზრუნავდეს, როგორც აღვნიშნეთ, ქართველი დილერები ჩააჩოჩა, მას თავად მოუნდომებია დილერის ფუნქციის შეთავსება, მაგრამ ქარხანა-მწარმოებლებთან ვერ გარიგებულა, რადგან მათ თავიანთ დილერებს მიანიჭეს უპირატესობა. „მექანიზატორის“ ხელმძღვანელობას დილერებისთვის უთქვამს კიდეც, მართალია, თქვენ ქარხანა გიჭერთ მხარს, მაგრამ ჩვენსას მაინც გავიტანთ, რადგან მთავრობის მეთაურისგან გვაქვს მხარდაჭერა, ის დაგვეხმარებაო. მართლაც თუ იყო ამ

საქმეში პრემიერი კვირიკაშვილი ჩართული, ამის მტკიცებას ვერ მოვყვებით, მაგრამ ფაქტია, „მექანიზატორს“ დილერების გვერდის ავლით შემოუტანია მარაგ-ნაწილები, „იმპორტიორ-პარტნიორებისთვის“ უკრაინასა და თურქეთში მიუკვლევია. სხვათა შორის, დამადასტურებელ მასალასაც გავეცანით, თუმცა ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ მეტი კონკრეტიკისგან. ისიც უნდა ითქვას, რომ უკრაინელები ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ძალიან აქტიურად ყოფილან ჩართული ქართულ ბიზნესში და თურმე დიდი პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ეს „სიამტკბილობა“ კვირიკაშვილის გამინისტრების, განსაკუთრებით კი გაპრემიერების შემდეგ გახდა აშკარა. რით დაიმსახურეს მათ საქართველოს მთავრობისგან ასეთი ყურადღება, ვერ მოგახსენებთ, მაგრამ ქართველი ბიზნესმენებისა და ადგილობრივი დაქირავებული მუშახელითვის მთლად სასურველი პარტნიორები არ არიან, ეს ჩვენთვის არაერთხელ უთქვამთ. სხვა უცხოტომელების მსგავსად, უკრაინელებიც ფლობენ ქართული მიწის უზარმაზარ ფართობებს, ეს მაშინ, როცა ჩვენი მოსახლეობა ბოლომდე არ დაუკმაყოფილებიათ მიწის ნაკვეთებით მიწის რეფორმის ფარგლებშიც კი. სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ სოფლის მეურნეობა იმიტომ აღარ გამოაცხადა პრიორიტეტად კვირიკაშვილის მთავრობამ, რომ ქართული მიწები უფრო ადვილად გაესხვისებინათ უცხოელებზე. „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მიწის გასხვისებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, თუმცა ხელისუფლებაში, ოპოზიციასა თუ „ენჯეოებში“ მოკალათებულმა ლიბერასტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მორატორიუმ გაეუქმებინა. კონსტიტუციაში კი ჩაიწერა, რომ იკრძალება მიწის უცხოელებზე გასხვისება, მაგრამ იქ საკმაოდ დარჩა შავი ხვრელები, რომელიც მთავრობას ლავირების საშუალებას აძლევდა. ვფიქრობთ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ასე გაჩანაგებაც სწორედ ამ ოპერიდან არის. ამ ტექნიკის გარეშე მოსავლის მოყვანა და იმპორტიორებისთვის კონკურენციის გაწევა, რომ ფანტაზიის სფეროა, ყველას კარგად მოეხსენება. ნელი მოქმედების ნაღმი ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუვნებელყოფილი. მოსახლეობას რეფორმის ფარგლებში მიღებული მიწის დაკანონება მიმდინარე წლის 1 ივლისამდე შეუძლია, ვაი-ჩინოვნიკების „დამსახურებით“, შესაბამისი დოკუმენტაცია ან გადამალულია, ან განადგურებული, რაც ხალხს დიდ პრობლემას უქმნის. 1 ივლისიდან დაურეგისტრირებელი მიწები სახელმწიფოს მფლობელობაში გადავა და ის განკარგავს თავისი სურვილისამებრ. სანდო წყაროს ცნობით, ამ მიწებს სიმბოლურ ფასად გადასცემენ აგრარულ სფეროში ჩართულ, ხელისუფლების ფავორიტ, მის მიერ დაფინანსებულ კომპანიებს, რომლებიც თურმე უკვე ისეთ მადას ავლენენ, რომ გლეხობას მარტო სახნავ-სათესის გარეშე კი არა, სათიბებისა და საძოვრების გარეშე დარჩენა ემუქრება. იმედია, ახალი მთავრობა მაინც არ გაწირავს მათ შიმშილობისთვის.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— ჩემს ამჟამინდელ მეუღლესთან არ ვიმყოფები სამოქალაქო ქორწინებაში, რადგან პირველ მეუღლესთან განქორწინება არ გამიკეთებია. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილ მეუღლეს ჰყავს სხვა ცოლშვილი, რა თქმა უნდა, არარეგისტრირებული ქორწინებიდან, ის რაღაცა ჯიუტი ახირების გამო, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ნებაყოფლობით არ მოდის, რათა წარვადგინოთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ. მეუბნება, რომ არც სასამართლოში მოვა და ჩემს პრობლემებს მივზედო მე თვითონ. მის მიმართ ქონებრივი დავა არ გამაჩნია.რა გზას დავადგე?

— ბუნებრივია, ყველაფერს აჯობებდა, თქვენი განქორწინების საკითხი ცივილურად მოწესრიგებულიყო, ვინაიდან, არც თქვენს ყოფილ მეუღლეს უნდა აწყობდეს თქვენთან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფნა, რადგან მას, ასევე, ჰყავს ცოლ-შვილი. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ გზით თქვენი განქორწინება არ ხერხდება. სამოქალაქო რეესტრში განქორწინებისათვის საჭიროა ყოფილ მეუღლეთა ერთობლივი განცხადების წარდგენა განქორწინების შესახებ. თქვენ უნდა მიმართოთ სასამართლოს ყოფილი მეუღლის / მოპასუხის / საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. უნდა გადაიხადოთ სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით. უნდა შეადგინოთ სარჩელი, სასამართლოებისა და იუსტიციის საბჭოს ვებგვერდებზე წარმოდგენილი ფორმების მიხედვით. სარჩელს უნდა დაურთოთ ქორწინების მოწმობის დედანი და ასლი. სარჩელში უნდა დაასაბუთოთ თქვენი ერთად ცხოვრების შეუძლებლობა. ამაში იგულისხმება შემდეგი: მიუთითებთ, რომ თქვენ ერთად დიდიხანია არ ცხოვრობთ, რომ თქვენ გაქვთ შექმნილი სხვა ოჯახი, ყოფილ მეუღლეს- სხვა ოჯახი. ასევე, სარჩელში მიუთითებთ მოტივს, რატომ არ ხერხდება თქვენი განქორწინება სამოქალაქო რეესტრში, ანუ იმას, რომ ყოფილი მეუღლე ჯიუტად არ მოდის რეესტრში ერთობლივი განცხადების შესატანად. სარჩელში, ასევე, უნდა მითითოთ, რომ არ გაგაჩნიათ ქონებრივი დავა ყოფილ მეუღლესთან.

ნუ შეგაშფოთებთ ყოფილი მეუღლის განცხადება სასამართლოში გამოუცხადებლობის შესახებ. ეს არაფერს წყვეტს. როდესაც სასამართლო მიიღებს სარჩელს წარმოებაში / და ის მიიღებს წარმოებაში ამ სარჩელს, თუ თქვენ ზედმიწევნით აღნიშნავთ ყველაფერს, რომელთა შესახებაც მოგახსეთ უკვე, წარადგენთ დოკუმენტებს, რომელთა შესახებაც უკვე მიგითითეთ და, ასევე, წარადგენთ სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადატურებელ ქვითარს/, სარჩელის მეორე ეგზემპლარი ეგზავნება თქვენს ყოფილ მეუღლეს. აქვე გეტყვით, რომ თუ თქვენ გეყოლებათ წარმომადგენელი, სარჩელის მეორე ეგზემპლარის მოპასუხეზე ჩაბარება მან უნდა უზრუნველყოს და შემდეგ ჩაბარების დამადასტურებელი ცნობა უნდა მიაწოდოს სასამართლოს. თუ თქვენ არ გეყოლებათ წარმომადგენელი, სასამართლო თავად უზრუნველყოფს სარჩელის მოპასუხეზე ჩაბარებას. მოპასუხეს / თქვენს ყოფილ მეუღლეს/ მიეცემა გონივრული ვადა სარჩელზე პასუხის გაცემის სესახებ, რაშიც იგულისხმება დადგენილი ფორმით შესაგებლის წარდგენა. თუ ის ამ ვადაში წარადგენს შესაგებელს, დაინიშნება სასამართლო პროცესი. თუ არ წარადგენს, პროცესი მაინც დაინიშნება. თუ გამოცხადდება სასამართლოში, მოსამართლე მასაც მისცემს საშუალებას პოზიციის დაფიქსირების შესახებ. თუ არ გამოცხადდება, თქვენ ან თქვენს წარმომადგენელს გაქვთ უფლება, დააყენოთ შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ამ გზით მოხდება თქვენი განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. გასაჩივრების ვადების გასვლის შემდეგ უნდა აიღოთ გადაწყვეტილება, დამოწმებული ღერბიანი ბეჭდით და სამი წლის ვადაში წარადგინოთ სამოქალაქო რეესტრში განქორწინების რეგისტრაციისათვის და განქორწინების მოწმობის მისაღებად. დაიმახსოვრეთ: სასამართლოს გადაწყვეტილების სამოქალაქო რეესტრში დარეგისტრირების გარეშე თქვენ განქორწინებულად არ ჩაითვლებით.

* * *

— სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

— სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, ვინ ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებად?

— ზოგადად, სრულყოფილი ინფორმაციისათვის, მოგახსენებთ ჯერ ქმედუნარიანობის, ხოლო შემდეგ შეზღუდული ქმედუნარიანობის შესახებ:

1. სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის არეგულირებს პირის ქმედუნარიანობის საკითხს. კერძოდ:

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

4. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო.

5. ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

6. ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

2. სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლი კი მოიცავს შეზღუდული ქმედუნარიანობის თემას. კერძოდ:

მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.

3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.

ასევე, ვფიქრობ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თქვენთვის საინტერესო იქნება ამავე კოდექსის მე-16 მუხლი,რომლის მიხედვითაც შეიტყობთ შემდეგს:

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

უძველესი ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ

ნანა მირაშვილი — დაიბადა ქალაქ თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობით. არის გ.წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტიოლოგიის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი. ასევე, სამეცნიერო სტატიებისა და წიგნის ავტორი. 1988 წელს მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 2008 წელს პარიზის სორბონის უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. არის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასოცირებული დოქტორი. როგორც თავად ქალბატონი ნანა გვიყვება: 1988 წელს, დისერტაციის დაცვის შემდეგ, ბედი საფრანგეთის მოქალაქეს მიშელს დაუკავშირა და საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა.

— მხოლოდ ევროპაში რომ ვყოფილიყავი, ალბათ, ჩემი ცხოვრება ასეთი საინტერესო არ იქნებოდა. ორ წელიწადში საფრანგეთიდან ეკვატორზე, გაბონში აღმოვჩნდი. გაბონის დედაქალაქი ლიბრევილი ძალიან კოლორიტული ქალაქია. იგი ატლანტის ოკეანის სანაპიროზეა განთავსებული და გამოირჩევა არაჩვეულებრივი ბუნებით, ფლორით, ნამდვილ ზღაპარს ჰგავს. კონტინენტებს შორის, აფრიკა, ყველაზე ლამაზია. თუ გნებავთ ფერთა სილამაზე იხილოთ, აუცილებლად, ეკვატორზე და ჯუნგლებში უნდა წახვიდეთ. გაბონში ცოტა ხნით მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ვიმუშავე. პირველი წიგნიც სწორედ იქ შევქმენი. აქვე, გეტყვით, რომ პარიზში ჯანრი კაშიას ქართულ-ევროპულ ინსტიტუტში ვმოღვაწეობდი. ილია ჭავჭავაძის სამტომეულს, რომელიც ბატონმა ჯანრიმ გამოსცა, რედაქტირება მე გავუკეთე. სწორედ მისი რჩევით დავიწყე ნაშრომზე მუშაობა საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მერე, საქმიანობა გაბონში განვაგრძე და ასე შეიქმნა „ცოდვა და ქრისტიანული ლეგენდა“.

— რას ეხება ნაშრომი „ცოდვა და ქრისტიანული ლეგენდა“?

— რასაკვირველია, ბიზანტიოლოგი ყოველთვის იმ ეპოქაზე მუშაობს, რომელიც ოქროს ხანას და ქართულ ხელნაწერებს ეხება. ჩემს მიერ დამუშავებული ტექსტები დაცულია ხელნაწერებში, რომლებიც მე-9–10–11 საუკუნეებში შეიქმნა. ჩემი პირველი დისერტაცია მარიამ მეგვიპტელის ცხოვრებას მოიცავს, ტექსტი ძალიან ბევრ ხელნაწერშია დაცულია, აქედან ყველაზე უძველესია ორი ხელნაწერი: ერთი — პარხლის მონასტერში მე-10 საუკუნის ბოლოს, ხოლო მეორე — ბოდლეს ხელნაწერი, იერუსალიმში, ქართული ჯვრის მონასტერში მე-11 საუკუნეში შეიქმნა. ჩვენი სამუშაო სპეციფიკა გახლავთ ის, რომ ქართულ თარგმანს ყოველთვის ბერძნულ დედანს ვუდარებთ. რასაკვირველია, ქართული ტექსტი ბერძნულს შედარდა. მივედი დასკვნამდე, რომ ყველაზე უძველესი, თარგმანთა შორის, ქართული თარგმანია. სხვათა შორის, საპირისპირო აზრი ვერავინ გამოთქვა. ამ წმინდანის ცხოვრებაზე ძალიან ბევრ მეცნიერს აქვს ნამუშევარი, ყველას საკუთარი მოსაზრებები ჰქონდა, მაგრამ ჩემი აღმოჩენები იმდენად განსხვავებული, უცხო და შეუსწავლელი იყო მეცნიერებისთვის, რომ ვერავინ შემეწინააღმდეგა, რაც ძალიან დიდი გამარჯვება იყო. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ გადავწყვიტე იგი სორბონის უნივერსიტეტში ცნობილ ქართველოლოგთან და კავკასიოლოგთან აკადემიკოს ჟან პიერ მაესთან გამეგზავნა. მას ჩემი ნაშრომი ძალიან მოეწონა და მომწერა: კარგი იქნება თუ ეს ტექსტი თავისი გამოკვლევით ფრანგულად ითარგმნებაო. მე ნაშრომის გაფართოვება შევთავაზე, კერძოდ, გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი ტექსტების დამატება. ჟან პიერ მაეს ეს იდეა ძალიან მოეწონა და ასე შეიქმნა „მონანიე და განდეგილი დედები ქართულ ნათარგმნ ჰაგიოგრაფიაში“. ანუ, გვაქვს ქართული ორიგინალური ჰაგიოგრაფია და ნათარგმნი. აღნიშნული წიგნი ეხება ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთკავშირის საკითხებს. მასში გადმოვეცი ცნობილი ბიზანტიური ჰაგიოგრაფიული ძეგლების, კერძოდ რვა წმინდანი მონანიე და განდეგილი დედის — ესენია ტასია მეგვიპტელი, პელაგია ანტიოქელი, მარიამ მეგვიპტელი, აბრაჰამი და მისი ძმისწული მარიამი, წმინდა მარინა, კანონიკე მძოვარი, ალექსანდრიელი მონანიე ქალი და ანასტასია პატრიკია, ცხოვრებათა ქართული ვერსიები X–XI საუკუნეების უძველესი ქართული ხელნაწერების პარხლის მრავალთავისა და ბოდლეს (ოქსფორდი) ჰაგიოგრაფიული კრებულის მიხედვით. მონოგრაფიაში შესული რვა წმინდანის ცხოვრება, აქამდე სრულიად შეუსწავლელი იყო. სხვათა შორის, ტერმინი მონანიე ჩემი შექმნილია. წიგნში პირველად არის დეტალურად შესწავლილი და გაანალიზებული ცხოვრებათა ქართული რედაქციები ბერძნულ, სირიულ, კოპტურ, არაბულ, ლათინურ და ფრანგულ წყაროებთან ურთიერთმიმართებაში. აქვე, გეტყვით, რომ მივაკვლიე ორი ცხოვრების ბერძნულ და სირიულ დედანს, რომლებიც დღემდე ქართულ ჰაგიოგრაფიაში უცნობი იყო. ასევე, სიახლეს წარმოადგენს პავლე თებელის ცხოვრების ავტორობის საკითხის განხილვა ქართულ ვერსიასთან ურთიერთმიმართებაში. ნაშრომში მოცემულია ბევრი საყურადღებო ცნობა ეგვიპტური, პალესტინური, სირიული მეუდაბნოებისა და სამონასტრო ინსტიტუტების შესახებ. ასევე, აღნიშნულ ნაშრომში პირველად ქვეყნდება ძველ-ქართულ-ფრანგული ლექსიკონი ბერძნული ლექსიკის თანხლებით. ასე, რომ წიგნი საკმაოდ საინტერესოა. ამ წიგნზე დისერტაცია 2008 წელს დავიცავი, წიგნი შვიდი წლის შემდეგ გამოიცა. ჩემმა პროფესორმა გადაწყვიტა მონოგრაფია საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიაში წარედგინა. წარმოიდგინეთ, ჩემი გაოცება როცა პროფესორის მეუღლემ დამირეკა და მამცნო: ნაშრომმა გაიმარჯვა და საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემია მოგენიჭაო. ის ღამე არ მეძინა. პრემიის გადაცემა ჩემს ცხოვრებაში არაჩვეულებრივი მოვლენა იყო.

— თქვენ პარხლის და ბოდლეს ხელნაწერები ახსენეთ, კიდევ რა შეგიძლიათ ამ აღმოჩენის შესახებ გვითხრათ?

— ხელნაწერებში აღმოჩენილმა ტექსტებმა მიანიშნა იმაზე, რომ კლასიკური ვერსიისგან განსხვავებით, რომელიც სოფრონ იერუსალიმელმა მე-7 საუკუნეში მარიამ მეგვიპტელის ცხოვრების გარშემო შექმნა, პარხლის და ბოდლეს ვერსიები უფრო ადრეული იყო, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა სოფრონ იერუსალიმელის ვერსიისგან. სრულიად მსოფლიო მწერლებისთვის, ესენი იქნებიან ევროპელი თუ ამერიკელი მეცნიერები, რომელთაც კი ამ თემაზე უმუშავიათ, მათთვის ცნობილი იყო მხოლოდ და მხოლოდ სოფრონ იერუსალიმელის ნაწარმოები, რომელიც მარიან მეგვიპტელის ცხოვრებას ეხება. არავის ჰქონდა ცნობა, ან თუნდაც პატარა ინფორმაცია პარხლისეული და ბოდლესეური რედაქციების შესახებ. ეს ნაშრომის საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარეა.

— მონანიე და განდეგილი დედების შესახებ, მათ ღვაწლზეც მოგვიყევით...

— განდეგილი ანუ მონანიე დედაა მაგალითად წმინდა პელაგია ანტიოქელი. იგი მე-5 საუკუნეში ცნობილი კურტიზანი ქალი იყო, რომელიც მამა ნონოსმა მოაქცია. ამბობენ, რომ პელაგია ნამდვილად არსებობდა და იგი მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების გმირი არ ყოფილა. იგი ოქროს დიდი მოყვარული, მდიდარი ქალბატონი გახლდათ. ერთხელ როდესაც დამსწრე საზოგადოება ყურადღებით ისმენდა მამა ნონოსის მოძღვრებას, მათ წინაშე ბრწყინვალედ გამოწყობილმა პელაგიამ ჩაიარა, რომლის სამოსი მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით იყო მორთული. შეამჩნიეს თუ არა კურტიზანი, ეპისკოპოსებმა მაშინვე პირი იბრუნეს, ხოლო ნონოსი არ განძრეულა, მან პელაგია დაჟინებული მზერით გააცილა. კვირა დღეს ისეთი შთამბეჭდავი იყო მისი სიტყვა, რომ მრევლი ატირდა. ამ დღეს ღვთის განგებით ეკლესიაში პირველად შევიდა პელაგია. წარმართი ქალი ცხარე ცრემლებით ტიროდა. პელაგიამ ნონოსს მონათვლა სთხოვა. ეკლესია მეძავის მონათვლას კრძალავდა, თუმცა ბოლოს მამა ნონოსმა პელაგია მონათლა. ნათლობიდან სამი დღის შემდეგ ყოფილმა კურტიზანმა ნონოსს მთელი ქონება გადასცა, რათა ღარიბებისთვის დაერიგებინა. ნათლობიდან მერვე დღეს პელაგიამ ნათლობის თეთრი კაბა გაიხადა, შეიმოსა ასკეტი ბერის ტანსაცმელში და ანტიოქიიდან სამუდამოდ გაუჩინარდა. რამდენიმე წლის შემდეგ იაკობ დიაკონი წმინდა ადგილების მოსანახულებლად იერუსალიმში წავიდა და ზეთისხილის მთაზე გაემართა, რათა პელაგია მოენახულებინა. მან ქალი ვერ იცნო. პელაგიამ კი იცნო იგი, აკურთხა და საიდუმლო არ გაუმხილა. მეორე მისვლაზე იაკობს პელაგია გარდაცვლილი დახვდა. როდესაც ცხედარს აპატიოსნებდნენ, აღმოაჩინეს, რომ საჭურისი პელაგი ქალი იყო.

ქრისტიანულ მწერლობაში მონანიების მოტივზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის მარიამ მეგვიპტელის ცხოვრება ერთ-ერთ შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. მარიამ მეგვიპტელი განსაკუთრებული წმინდანია. პელაგია ანგარების გამო ეძლეოდა ასეთ ცხოვრებას, მარიამ მეგვიპტელი კი — არა. იგი თვითონვე აღნიშნავს, რომ ასეთი თავაშვებული ცხოვრება მოსწონდა და პირიქით, ფულზე უარს ამბობდა, სთავაზობდნენ და არ იღებდა. ერთ მშვენიერ დღეს ალექსანდრიაში ზღვის პირას მიდიოდა, უცებ, დაინახა, რომ უამრავი ადამიანი პორტისკენ მიდიოდა და გემს გაჰყვა. იცით რაშია საქმე, ამ ნაწარმოებში პირველი ტალღა საერო მოტივების მოზღვავებისაა იმიტომ, რომ ძალიან თავისუფლად არის აღწერილი თუნდაც ამ წმინდანის თავაშვებული ცხოვრება, რაც ადრე, მე-7 საუკუნემდე არსად არ გვხვდება. გემზე მგზავრობისას მან ისეთი საშინელი აქტები ჩაიდინა, თავად ამბობდა: მიკვირს, როგორ არ განაღო ზღვამ პირი და არ მშთანთქაო, იმდენად ავხორცულად იქცეოდა. გემიდან რომ ჩავიდა ეკლესიაში მოისურვა შესვლა, მაგრამ ეკლესიის უხილავმა ძალამ, სადაც წმინდა ჯვარი იყო დასვენებული, მარიამი განაგდო. ასე რამდენჯერმე განმეორდა, ტაძარმა ქალი არ მიიღო. მარიამი მიხვდა, რომ ეს მისი ცოდვების გამო ხდებოდა. მან ეკლესიის კედელზე ღვთისმშობლის გამოსახულება დაინახა და ცხარე ცრემლით შეევედრა, ეპატიებინა.

მარიამ მეგვიპტელი

პატიების შემდეგ ეკლესიაში შევიდა და წმინდა ჯვარს აღუთქვა რომ თავაშვებულ ცხოვრებას მიატოვებდა და იორდანიის უდაბნოს მიაშურა. იგი იორდანიის უდაბნოში 47 წელი სრულიად მარტო ცხოვრობდა ისე რომ ადამიანის გამოსახულებაც კი არ უნახავს. მისი ტანსაცმელი გაცვდა, დაიხა, შიშვლად დარჩენილს ჩვიდმეტი წელი ხორციელი ცდუნებები ტანჯავდა. სწორედ აქ აღმოაჩინა ბერმა ზოსიმემ მარიამი, რომელიც თავდაპირველად გაიქცა, შემდეგ ბერს მოსასხამი სთხოვა, რადგან მის წინაშე ისე გამოჩენა რცხვენოდა. მან ბერს თავისი ცხოვრების შესახებ უამბო. როცა ბერი მეორედ გავიდა უდაბნოში, მას მარიამი გარდაცვლილი დახვდა. მამა ზოსიმემ ცხედარი მიწას მიაბარა. რაც შეეხება განდეგილ დედებს, ესენი არიან მამაკაცის ტანსაცმელში ჩაცმული ქალები. მაგალითად, არსებობს ასეთი წმინდანი მარიამი, რომელიც ბერძნულ დედნებში მარინას სახელით მოიხსენიება, ჩვენთან, რატომღაც, მავრიანედ იწოდება. ეს სახელი საიდან მომდინარეობს, უცნობი რჩება. მან კაცის ტანსაცმელი ჩაიცვა. მამამ, რომელსაც მეუღლე გარდაეცვალა, მონასტერში დამკვიდრება გადაწყვიტა. მას ახალგაზრდა ქალიშვილი ჰყავდა სახელად მარინა, რომელსაც მამასთან განშორება არ სურდა. ამიტომ, მარინას თავი გადაპარსა, ჩაცვა კაცის ტანსაცმელი და ტაძარში ისე შეიყვანა, ყველას მამაკაცი ეგონა. ერთ მშვენიერ დღეს მონასტრის წინამძღვარმა უხმო მარინოსს და დაავალა სხვა ძმებთან ერთად მონასტრის საქმეების მოსაგვარებლად წასულიყო. გზაზე ერთი სამიკიტნო იყო, სადაც ბერები დასასვენებლად ჩერდებოდნენ. მიკიტანს ახალგაზრდა ქალწული ჰყავდა, რომელმაც ბერების წასვლის შემდეგ ვინმე მხედართან შესცოდა. მხედარმა ქალს უთხრა ყველაფერი ახალგაზრდა ბერი მარინოსისთვის დაებრალებინა. როდესაც მიკიტანმა მარინოსის „დანაშაული“ შეიტყო, მონასტერში წავიდა, რათა წინამძღვართან ეჩივლა. მარინამ იმის შიშით, რომ მისი ვინაობა არ გამჟღავნებულიყო, თავი არ იმართლა. წინამძღვარი განრისხდა და იგი ტაძრიდან გააძევა, თუმცა, ქალი არსად წასულა. იგი მონასტრის კედლებთან სიცივითა და სიცხით იტანჯებოდა. როდესაც მიკიტნის ქალიშვილმა იმშობიარა, ბაბუამ შვილიშვილი აღსაზრდელად მარინას მიუყვანა. მას ბავშვის აღზრდა ძალიან მძიმე პირობებში უხდებოდა, საკვების მოსაპოვებლად მათხოვრობდა. ძმები მარინას ტანჯვას ხედავდნენ და წინამძღვარს სთხოვეს იგი ტაძარში შეეშვა. იგი დათანხმდა. როდესაც გარდაიცვალა, ცხედრის გაპატიოსნების დროს ბერებმა აღმოაჩინეს, რომ

პელაგია ანტიოქელი

იგი ქალი იყო. მათი ზიზღი დაუყოვნებლივ აღტაცებით შეიცვალა და მარინა მთელი ქრისტიანი ერის სათაყვანო პიროვნება გახდა. კიდევ ერთი განდეგილის ანასტასია პატრიკიასის შესახებ მოგიყვებით: ერთი საჭურისი უდაბნოში მდებარე გამოქვაბულში ცხოვრობდა. აბბა დანიელის და მისი მოწაფის გარდა ის არავის ხვდებოდა. კვირაში ერთხელ მოწაფეს საჭურისისთვის წყალი მიჰქონდა, მაგრამ მას არ ესაუბრებოდა. ერთხელ, საჭურისის სენაკთან თიხის ფირფიტა იპოვა წარწერით: „მოიტანე ხელსაწყოები და მარტო მოდი, ან მოწაფესთან ერთად“. დანიელი მიხვდა რომ საჭურისი უკანასკნელ დღეში იყო და მასთან გაემართა, რათა იგი ეზიარებინა და მისგან ლოცვა-კურთხევა მიეღო. როცა ცხედარს დასაკრძალად მოსავდნენ, მოწაფემ საჭურისს ძუძუ-მკერდი შეამჩნია და ძალიან გაოცდა. დანიელმა მოწაფეს უამბო გარდაცვლილი საჭურისის ამბავი, რომელიც ქალი იყო, სახელად ანასტასია. იგი კონსტანტინეპოლში ცხოვრობდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს და განსაკუთრებული ღვთისმსახურებით გამოირჩეოდა. ანასტასია ბიზანტიის ერთ-ერთი ყველაზე დიდგვაროვანი და მდიდარი ოჯახიდან იყო. ქალწული იმპერატორის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, დედოფალმა თეოდორამ იეჭვიანა და მისი გადასახლება მოისურვა. ანასტასიამ ეს რომ შეიტყო სასახლე სამუდამოდ დატოვა და ეგვიპტეში გაიქცა. მან საიდუმლოდ დაიქირავა გემი და ალექსანდრიისკენ გაემგზავრა. პემპტონში, ღვთისმოსავმა ქალმა მონასტერი დააარსა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე პატრიკიას მონასტერი ეწოდებოდა. დედოფალი თეოდორას გარდაცვალების მერე იუსტინიანე ანასტასიას დიდხანს ეძებდა. შეშფოთებულმა ქალმა მამაკაცის ტანსაცმელი ჩაიცვა და მონასტერი ჩუმად დატოვა. იგი სკიტეში გაემართა, ყოველივე აბბა დანიელს უამბო და შეევედრა მისთვის სენაკი მიეცა.დანიელმა იგი ლავრიდან საკმაოდ მოშორებულ გამოქვაბულში წაიყვანა. ანასტასია იქ დამკვიდრდა, სახელი ანასტას საჭურისად გადაიკეთა და დანიელის მითითებულ გამოქვაბულში ოცდარვა წელი მეუდაბნოე ასკეტის უმკაცრეს ცხოვრებას ეწეოდა. არავინ იცოდა მისი ვინაობა და ადგილსამყოფელი დანიელისა და მისი მოწაფის გარდა.

— ქალბატონო ნანა, ხშირად გვსმენია, რომ ქართულ ხელნაწერებს სიმხები თავისად ასაღებენ...

— დიახ, სამწუხაროდ, ასეთი რამ ხდება. აქვე, მინდა აღვნიშნო: მათ ძალიან ძლიერი სათვისტომოები ჰყავთ, კარგად ფინანსდებიან, ამიტომაც ყველამ იცის არმენია, ჩვენს შესახებ კი ბევრი არაფერი იციან. გაოცდებით, როგორი კულტურის დღეებს ატარებენ სომხები, უზარმაზარ სასახლეში, საკმაოდ დიდ ფულს ხარჯავენ და თუ კი რამ აქვთ ყველაფერს წარმოაჩენენ, ჩვენ კი ფულის ხარჯვა გვენანება. ჩვენი კულტურის დღეები სასაცილოა, ხაჭაპურს შეჭამენ, ერთ-ორ სიმღერას წაუმღერებენ და ამით მთავრდება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გამზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით აჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

ტელ: 577 49-94-84

იმპერატორ ცი შიხუანდის ტერაკოტის არმია

ზოგიერთი არქეოლოგიური აღმოჩენა ისტორიის სვლას ძირეულად ცვლის. სწორედ ამიტომ, ისტორიკოსები დიდი სიფრთხილით ეკიდებიან ასეთ აღმოჩენებს.

ჩინეთის ტერაკოტის არმია

მე-20 ს-ის 70-იან წლებში ჩინეთში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს იმპერატორ ცინ შიხუანდის თიხისგან დამზადებული ტერაკოტის არმია, რომელიც სენსაციად იქცა და მსოფლიოს მერვე საოცრებადაც კი აღიარეს.

დღეისათვის ტერაკოტის არმია, ჩინეთის დიდ კედელთან ერთად, ამ ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ღირსშესანიშნაობაა.

იმპერატორ ცინ შიხუანდის არმია

1974 წელს ქალაქ სიანის მადლობლად იპოვეს თიხისგან შესრულებული ტერაკოტის არმია, რომელიც იმპერატორის აკლდამის გვერდით იყო განლაგებული და ძველი ჩინელების რწმენით, იმპერატორი უნდა დაეცვა მიღმიერ სამყაროში.

საინტერესოა, რომ არმია 8100 თიხის ჯარისკაცისგან და ცხენისგან შედგება. ამ ქანდაკებების გარდა, ნაპოვნია ბრინჯაოსგან დამზადებული ათასობით სხვადასხვა სახის იარაღი.

თიხის არმია იმპერატორ ცინ შიხუანდისთან ერთად ჩვ.წ. აღმდე 210 წელს დაკრძალეს. ამ თიხის ფიგურების გარდა, ნაპოვნია 70 000 მუშისა და მათი ოჯახის წევრების, ასევე იმპერატორის 48 ხარჭის სხეულის ნარჩენები. ექსპერტების დასკვნით, ისინი ცოცხლად დამარხეს, რათა არმიის დამზადების საიდუმლო არ გაეცათ.

არმიის შექმნა

ტერაკოტის ქანდაკებები ჩინეთის ცინის დინასტიის პირველ იმპერატორთან ცინ შიხუანდისთან ერთად დამარხეს, რომელმაც ჩინეთი და ჩინეთის კედლის ყველა რგოლი გააერთიანა.

ისტორიკოსის ცნობით, ტახტზე ასვლიდან (246 წ. ჩვ.წ. აღ-მდე) ერთი წლის შემდეგ, 13 წლის იმპერატორმ, ა დაიწყო თავისი აკლდამის აგება.

მისი ჩანაფიქრით, ქანდაკებები იმქვეყნადაც მასთან უნდა ყოფილიყვნენ და მისი ამბიციები დაეკმაყოფილებინათ.

მავზოლეუმს 770 ათასი ადამიანი აგებდა 38 წლის განმავლობაში. თუმცა, ტრადიციისგან განსხვავებით, ცოცხლების ნაცვლად, იმპერატორთან ერთად თიხის ჯარისკაცები დამარხეს, ზოგიერთი მონაცემით, მას თან მაინც ჩააყოლეს 70 ათასი მუშა ოჯახის წევრებთან ერთად.

ძირითადი ცნობები

ქანდაკებები 1974 წელს აღმოაჩინეს ადგილობრივმა გლეხებმა ლიშანის მთის აღმოსავლეთით, რომლებიც ჭაბურღილს ბურღავდნენ. ეს მთა ცინის დინასტიის პირველი იმპერატორისთვის ადამიანის მიერ შექმნილი ნეკროპოლია. სწორედ ამ მთიდან იღებდნენ ქანდაკებებისთვის საჭირო მასალას.

გათხრები 1978–1984 ხდა 1986–5–1986 წლებში მიმდინარეობდა, 2009 წელს კი მესამე ეტაპი დაიწყო.

თიხის ჯარისკაცები იმპერატორის აკლდამიდან 1,5, კმ-ის დაშორებით პარალელურ აკლდამებშია განლაგებული. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქანდაკება უნიკალურია, თითოეულ ფიგურას საკუთარი ფორმა, ეკიპირება და სახე გააჩნია. ჯარისკაცებს შორის არიან რიგითები, მეისრეები, კავალერისტები და მთავარსარდლები. შედარებით შორს არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მუსიკოსების, აკრობატებისა და სახელმწიფო მოხელეების ქანდაკებები.

ჩინელმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ფიგურების უმრავლესობა და ეტლები თიხისგან არის დამზადებული, ზოგიერთი ჯარისკაცის შემთხვევაში საქმე უფრო რთულადაა — ცნობილი არ არის, საიდან ჩამოიტანეს ისინი, თითოეული მათგანი ხომ 130 კგ-ს იწონის.

მეცნიერები დღემდე იმტვრევენ თავს იმაზე, როგორ ხდებოდა ფიგურების გამოწვა, რადგან ახლომახლო ღუმელები ვერ აღმოაჩინეს. ამასთან, თითოეული ფიგურა დაფარულია მინანქრითა და საღებავით.



უცნაურია, მაგრამ ფაქტია

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო გამოცანა: 2000 წელზე მეტი ხნის შემდეგაც კი რატომ არ დაბლაგვდა და გაუფერულდა იარაღი? ექსპერტიზამ უჩვენა, რომ ლითონის შემადგენლობაში, რომლისგანაც მეტალის ნივთებია დამზადებული, შედის ქრომი. მაგრამ როგორ? მისი გამოყენება ხომ მხოლოდ მე-20 ს-ში დაიწყეს? ნუთუ ძველი ჩინელები უმაღლეს ტექნოლოგიებს ფლობდნენ? თითოეული იარაღი ხომ უმაღლეს დონეზეა დამზადებული?

საოცარია მავზოლეუმთან ნაპოვნი 2 ცალი ბრინჯაოს ეტლი. მათში შებმულია ოთხ-ოთხი ცალი არაჩვეულებრივი ცხენი, რომლებიც იმქვეყნიურ სამყაროში მოგზაურობისთვის იყო განკუთვნილი. თითოეული ეტლი 3000 ელემენტზე მეტისგან არის დამზადებული, რომლებიც ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს. ბრინჯაოს გარდა, დეტალები დამზადებულია ვერცხლისა და ოქროსგან.

იმპერატორის გარდაცვალებიდან მოკლე ხანში მის აკლდამაში ხანძარი გაჩნდა და აკლდამა გაძარცვეს კიდეც. უძველესი ცნობებით, იქ დიდი რაოდენობით სამკაულები, მონეტები და სხვა ძვირფასეულობა იყო.

ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ იმპერატორ ცინ შიხუანდი ამ აკლდამაში კი არა, სულ სხვაგან არის დაკრძალული.

პოპულარობა და მნიშვნელობა

1987 წელს იუნესკოს სესიაზე ტერაკოტის არმია შეიტანეს მსოფლიოს კულტურულ მემკვიდრეობაში. ჩინურ ობიექტებს შორის ეს პირველი არტეფაქტია, რომელიც ამ სიაში მოხვდა.

მის სანახავად მისულები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტები რონალდ რეიგანი და ბილ კლინტონი ოჯახებით, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელიზაბეთ II პრინც ფილიპესთან ერთად.

ტერაკოტას არმია დღეს

დღეისათვის გათხრები შეჩერებულია, რადგან ლეგენდის თანახმად, იმქვეყნიურ სამყაროში იმპერატორს ვერცხლისწყლის მდინარეები უნდა ახლდეს თან.

ყოველი შემთხვევისთვის, მეცნიერებმა გადაწყვიტეს ამ ვერსიის შემოწმება, რათა თავიდან აეცილებინათ უსიამოვნებები.

ბელა გველესიანი
568 90 81 22



**ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს.
არკადი მოროზოვს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:
577 43 25 13**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001